ივნისი 1939 წ. № 158 პარიზი

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
JUIN 1939 — № 158
Paris

ე რ ო ვ ნ უ ლ ი ე რ თ ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ო

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ბალტიის რესპუბლიკების ბედი.
ბ. არიძე—ევროპა და საბჭოთა კავშირი.
პ. პ.—საბჭოთა კავშირში.
ალ. ასათიანი—საბ. ეკონ. უხილავი «აღმავლობა»
у.—ბერლინ-მოსკოვის სავაჭრო ურთიერთობა.
მანრი კორევონი.
დამსწრე—«კომბატანების» კონგრესი.
დამსწრე—სასარგებლო მოხსენება.
ს. მ.—ბიბლიოგრაფია.
გრ. ურატაძე—მორიგი ჭორი. და სხვ.

## ბ ა ლ ტ ი ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი ს ბ ე დ ი

ორ თვეზე მეტია, რაც მოლაპარაკება დაიწყო ინგლისა და საბჭოთა კავშირს შორის. საფრანგეთის ენერგიული თანამშრომლობით, მაგრამ ჯერ კიდევ არ გათავებულა იგი. შეიძლება ითქვას, სანამ ეს სტრიქონები მკითხველამდე მიაღწევს, საბოლოო შედეგი მაინც გვეცოდინება და მაშინ მოგვიხდება მისი დაფასება. მანამდე კი ურიგო არ იქნება ახლო დავაკვირდეთ იმ მთავარ მიზეზს, რომელიც აფერხებს და აზვიადებს ამ მოლაპარაკებას.

მოსკოვი მოითხოვს ლონდონისა და პარიზისაგან, რათა სამივემ უზრუნველჰყონ გარეშე ანუ გერმანიის თავდასხმისაგან ბალტიის სამი რესპუბლიკა (ესტონია, ლატვია და ფინლანდია), რომელთა საზღვრების გადალახვა სახიფათო მდგომარეობაში ჩააგდებს თვით საბჭოთა საზღვრებსო განმარტავს ის.

აქ უნდა გავიხსენოთ, როგორ მოხდა რუმინია-საბერძნეთის გარეშე თავდასხმისგან უზრუნველყოფა ინგლის საფრანგეთის მხრით. ამ ორ დიდ სახელმწიფოს პირობა არ დაუდვიათ, არც მოლაპარაკება უწარმოებიათ რუმინია-საბერძნეთთან, მათ მხოლოდ დეკლარატიულად განაცხადეს, რომ, ვინიცობაა უკანასკნელთ ვინმე თავს დაესხა და მათ წინაამდეგობა გაუწიეს და მოგვმართეს დახმარებისთვის, ჩვენ მზადა ვართ მთელის ჩვენი ძალებით დავიცვათ ისინიო. რუმინია-საბერძნეთს საჯაროდ არც კი უპასუხნიათ ინგლის-საფრანგეთის ამ დეკლარაციისათვის, რადგან მათ არ უნდოდათ თავის თავი დღესვე საშიშარ მდგომარეობაში ალეარებიათ, ისე კი ყურად იღეს, რა თქმა უნდა, ეს დაპირება და ცდილობენ მთელის ძალ ღონით, რათა კატასტროფა თავიდან აიცდინონ და დახმარებაც ზედმეტი გახდეს.

როგორია ბალტიის სამი რესპუბლიკის პოზიცია? ისინი წინდაწინვე აცხადებენ ყველასათვის გასაგონად, რომ სრულიად ნეიტრალი დარჩებიან და თავს დაიცავენ იმ შემთხვევაში, თუ ვინმე თავს დაესხა მათ. ესტონია და ლატვია დადებითად შეხვდენ გერმანიის წინადადებას და ამ დღეებში თავდაუსხმელობის პაქტი შეკრეს მასთან, ისეთი, როგორიც მათ აქვთ უკვე შეკრული საბჭოთა კავშირთან. ფინლანდია სკანდინავიის დაჯგუფებას ეკვრის და ეს უკანასკნელი კი, დანიის გამოკლებით, მეტად სთვლის პაქტის დადებას გერმანიასთან, იმდენად ურყევია ჩვენი ნეიტრალიტეტი ყველას მიმართო— აცხადებენ ისინი.

გამოდიან რა ამ პოზიციიდან, ბალტიის სამი რესპუბლიკა აცხადებს, რომ ისინი არ მოითხოვენ გარანტიას არავისგან, არც ერთი ბანაკისგან, სულ ერთია, ტოტალიტარულია ის თუ დემოკრატიული. და, მართლაც, მათ რომ გარანტია მოითხოვონ ერთი ბანაკისგან, მეორე ბანაკი ამას მტრულად შეხვდება, და ეს ხომ თვით ნეიტრალიტეტის შერყევა იქნებოდა! ამ პირობებში, თავის თავად გასაგებია, რომ ინგლისი და საფრანგეთი ძალად ვერ მოახვევდენ ბალტიის რესპუბლიკებს თავის დახმარებას, როცა ისინი წინაამდეგი არიან სწორედ ამის. ამი-

ტომ ისინი ეუბნებიან მოსკოვს, ჩვენ მზადა ვართ დავიცვათ, მზგავსად რუმინია-საბერძნეთისა, ბალტიის რესპუბლიკები, თუ ისინი ამას მოგვთხოვენ და თვითონაც შეებრძოლებიან გარედან თავდასხმასო.

მოსკოვი თავისას არ იშლის: არა, ეს არ კმარა. ბალტიის რესპუბლიკები წინაამდეგობას ვერ გაუწევენ გერმანიას და ვერც გაბედვენ ჩვენ მოგვმართონ დახმარებისთვის, და ამიტომ ჩვენ სამმა (მოსკოვმა, ლონდონმა და პარიზმა) თვით დაინტერესებულთა დაუკითხავად და მოუთხოვნელად უნდა ვიკისროთ მათი ტერიტორიალური ხელუხლებლობაო. საინტერესოა, რომ ლონდონი და პარიზი შეურიგდენ მოსკოვის ამ ძალად-მაცხონობას, მათი დიპლომატები წელებზე ფეხს იდგამენ, რომ გამონახონ მოსკოვისთვის მისაღები ფორმულა, და ეს კიდეც გაუგზავნეს კრემლის ბატონებს განსაკუთრებული დესპანის ხელით.

ფორმულა ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ოფიციალური წრეების ზოგიერთი განცხადების მიხედვით, არაა ძნელი მიხვდეთ, რომ ლონდონი და პარიზი არსებითად უთმობენ მოსკოვს, მხოლოდ არ სურთ თვით შეთანხმებაში დაასახელონ ბალტიის სამი რესპუბლიკა. ჩვენ მზადა ვართ გამოვიდეთ შენს მხარეზე, როგორც მოკავშირენი—ეუბნებიან ისინი მოსკოვს—, როცა შენ თვითონ, საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად, საჭიროდ დაინახავ მიეშველო ამა თუ იმ სახელმწიფოსო. გამოდის, ამრიგად, თვით მოსკოვს ეკუთვნის უფლება და თაოსნობაც გამოაცხადოს ბალტიის რესპუბლიკები საშიშარ მდგომარეობაში და მოსთხოვოს მოკავშირეთ, ამისდა მიხედვით, ჩარევა!

სრულიად განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რატომ მაინც და მაინც ბალტიის სამი რესპუბლიკა ამოიჩემა მოსკოვმა და იმავე დროს არაფერს ამბობს არც პოლონეთზე, არც რუმინიაზე.—განა ესენიც მოსაზღვრე სახელმწიფონი არ არიან? ასე წარმოიდგინეთ, ამ ორ სახელმწიფოს თავდაცვის პაქტიც კი აქვთ დადებული მოსკოვის წინაამდეგ! არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე გარემოება: ვინ უშლიდა მოსკოვს, ისე როგორც ლონდონმა და პარიზმა, თავიდანვე გაეკეთებინა საჯარო დეკლარაცია, რომ ის იარაღით შეებრძოლება იმ სახელმწიფოს, რომელიც ბალტიის რესპუბლიკებს დაესხმისო? შეიძლება, ამ შემთხვევაში, ამ რესპუბლიკებს ეპასუხნათ, ჩვენ ნეიტრალი ვართ და დახმარებისთვის არ ვაპირებთ მოგმართოთო, მაგრამ ამით მოსკოვის დეკლარაცია სულაც არ კარგავდა ძალას და ყველასათვის გასაგები იქნებოდა, რადგან, მართლა, მოსაზღვრე რესპუბლიკებზე თავდასხმა სახიფათო იქნებოდა საბჭოთა კავშირისთვის.

არა, მოსკოვი ასე არ იქცევა, მიუხედავად «მარშალი» ვოროშილოვის და სხვების განუწყვეტელი ბაქიობისა, რომ «ძლევამოსილი წითელი ჯარი თავზარდამცემ რიცხვად მოევლინება იმ სახელმწიფოს, ვინც გაბედავს ჩვენი საზღვრების გადმოლახვასო». მაშასადამე, როცა სიტყვა საქმეზე მიდგება, მოსკოვს შიშის ჟრუანტელი უვლის ტანში, და იმის მაგიერ დამოუკიდებლად აღიმაღლოს ხმა, «ბურჟუაზიულ» დასავლეთს იწვევს ამხანაგად თავისი ბნელი განზრახვების შესასრულებლად ბალტიის სამი რესპუბლიკის მიმართ.

რაში გამოიხატება ეს ბნელი განზრახვები? უთუოდ იმაში, რომ კრემლის ბატონებს სურთ ხელი დაადონ ბალტიის რესპუბლიკებს და შეუერთონ თავის საბრძანებელს! ამიტომ გაიძახიან ისინი, რომ ეს რესპუბლიკები ვერ იბრძოლებენ, ვერ გაბედვენ ხელის გაშვერასაც გარედან დახმარებისთვისო! ამიტომ არ სთვლიან საჭიროდ მათ ნეიტრალობას ან გარიში გაუწიონ, არც უნდათ დაეკითხონ და ზურგს უკან ლამობენ მათი ბედის გადაწყვეტას! დააკვირდით, როდის აპირებენ ისინი «მიშველებას», მაშინ როცა თავს დესხენ ბალტიის რესპუბლიკებს, მიადგენ საბჭოთა საზღვრებს, თუ მის ადრე, გერმანიის მოჩვენებითი თუ ნამდვილი დამუქრების შემდეგ. ვინ არ იცის, ომის დაწყებისას და მის მიმდინარეობაში, თვით სტრატეგიაც მოითხოვს ხშირად, დაასწრო მტერს და აიღო ის ადგილი, საითკენაც მას თვალი უჭირავს მოჩვენებით თუ ნამდვილად. აქედან რა უშლით მოსკოვის ფლიდ სტრატეგებს ბალტიის სამი რესპუბლიკა გამოაცხადონ სახიფათო მდგომარეობაში და თვითონვე შეიჭრან იქ «საშველად»?! განა ასე არ «უშველეს», მაგ., საქართველოს «ანტანტის იმპერიალისტებისაგან» დასაცავად?!

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცნობთ მოსკოვ-ლონდონ-პარიზის შეთანხმების ტექსტს, არ ვიცით, რამდენად შორს შეტოპეს ლონდონმა და პარიზმა მოსკოვის მღვრიე ტბაში, ცხადია მხოლოდ, რომ მოსკოვს განზრახული აქვს ბალტიის რესპუბლიკების გადაყლაპვა. მაგრამ განა საეჭვოა ჩვენთვის, რომ ისინი მას ყელში გაერჭობიან? თუ გავიხსენებთ, რაც ჩვენ ასე ხშირად გვიწერია, აქვე, რომ მომავალი დიდი ომი სასიკვდილო ლახვარი გახდება სტალინის საბრძანებლის მთლიანობისთვის და ამას ისარგებლებენ როგორც მის წიაღში მგმინავი, ისე, შეიძლება, ახლად დამონებული ერები,—ჩვენ არ გვმართებს ერთი იოტითაც შევირყეთ ჩვენს ღრმა რწმენაში, რომ გამარჯვება მაინც თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს დარჩებოდათ.

# ევროპა და საბჭოთა კავშირი

მარტში მომხდარმა ამბებმა დაასამარეს მიუნხენის ილიუზიები. ინგლისი და საფრანგეთი თუ სავსებით არა, რამოდენიმეთ მაინც იყვენ დარწმუნებულნი, რომ სტუდეტთა ოლქების დათმობით ომს ააცილებდენ თავიდან დასავლეთ ევროპას. მხოლოდ ზავის შენარჩუნების ურყევი მისწრაფებით აიხსნება, რომ ჩეხოსლოვაკიის ბედ იღბალი გადაჭრილ-გადაწყვეტილი იქმნა ისე, რომ მისი წარმომადგენელი მიუნხენში არ იყო მიწვეული და მოსმენილი.

მიუნხენის კონცერტში მონაწილეობა არც საბჭოთა კავშირს მიაღებიეს. ეს გარემოება ევროპის საზოგადოებრივმა აზრმა ახსნა, როგორც ხელის გახსნა გერმანიისათვის აღმოსავლეთისაკენ პირის საბრუნებლად ეს ასე გაიგო მოსკოვმაც, რაც დადასტურებულ იქმნა სტალინის მიერ მის მოხსენებაში, რომლითაც იგი წარსდგა კომპარტიის მეთვრამეტე ყრილობის წინაშე. მართლაც მიუნხენს მოყვა ახმაურება საბჭოთა კავშირის იზოლიაციაში მოქცევის შესახებ; დღის წესრიგში დაისვა უკრაინის საკითხი. არა მარტო ობივატელებში, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ წრეებშიაც ის აზრი ჰარბობდა, რომ ახლო ხანში გერმანია გადაჭრიდა თუ მთელი საბჭოთა კავშირის არა, ყოველ შემთხვევაში უკრაინის ბედს. ეს ბედის გადაჭრა ნავარაუდევი იყო, როგორც უკრაინის გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად და მისი მოქცევა გერმანიის ეკონომიურ გავლენის სფეროში.

როგორც ვიცით ჯერ-ჯერობით ეს ვარაუდი არ გამართლდა და საკითხი წარმოუდგენელი სისწრაფით შემოტრიალდა ისევ საშუალო ევროპისაკენ. გერმანია არ დაკმაყოფილდა სტუდეტების ოლქებით და მან ყოველივე მოლოდინის წინამდეგ დაიკავა მთელი ჩეხია; ამავე დროს ჩეხოსლოვაკიის კარპატული ნაწილი გადავიდა უნგრეთის ხელში, ხოლო სლოვაკია გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ; აქვე უნდა ითქვას, რომ ეგ დამოუკიდებლობაც მხოლოდ მოჩვენებითია, რადგან მისი მბრძანებელი იგივე გერმანიაა.

ჩეხოსლოვაკიის საკითხის მოთავებას მოყვა მემელის დაკავება, ამას კი თავის მხრივ კორიდორისა და დანციგის საკითხი. ამ ამბებს თავის მხრივ გამოეხმაურა იტალიაც; მან ჯერ საფრანგეთს წამოუყენა ტერიტორიალური მოთხოვნილებანი და შემდეგ დაიკავა ალბანია, რომელიც ფაქტიურად აქნამდეც მისი ვასალური სახელმწიფო იყო. ახლა კი უკვე ცხადი იყო, რომ გერმანიას და მასთან ერთად მის გვერდით მდგომ იტალიას არ მიაჩდათ დასავლეთ და საშუალო ევროპის საკითხები მათ და სასურველად მოგვარებულად. გერმანია-იტალიის საშუალო ევროპის პოლიტიკამ და განსაკუთრებით ჩეხოსლოვაკია-ალბანიის მაგალითებმა მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა მიუნხენის მიერ დაბადებულ იმედებს. ეს პოლიტიკა დიდმა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა ახსნეს, როგორც გერმანიის მისწრაფება მსოფლიო გეგემონიისაკენ, რომელიც პირველ რიგში ემუქრებოდა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შორის მდებარე სახელმწიფოებს და ახლო აღმოსავლეთს. ამით საფრთხეში ვარდება აგრეთვე საფრანგეთ-ინგლისის ინტერესებიც. აქედან ცხადია, რომ ეგ უკანასკნელნი ვერ დარჩებოდენ გულგრილ მაყურებლებად; მათ მიზნად დაისახეს თავის ირგვლივ შემოეკრიბათ საშუალო ევროპის ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები და ოსმალეთი, რომ ამ ღონისძიებებით მსოფლიო გეგემონიის გზა გადაეჭრათ ტოტალიტარულ ბლოკისთვის.

ამ ღონისძიებათა განხორციელების პროცესში ისევ ამოტივტივდა საბჭოთა კავშირიც, მაგრამ ახლა არა როგორც ობიექტი გერმანიის ექსპანსიისა, არამედ როგორც ერთი სუბიექტთაგანი საერთაშორისო პოლიტიკისა. დასამალავი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის აქციები აიწია და ინგლის-საფრანგეთი ყოველივეს ღონობენ, რომ იგი თავიანთ ბლოკში მოაქციონ და ტოტალიტარულ ბლოკის წინააღმდეგ მიმართონ. დემოკრატიული ბლოკი მიზნად ისახავს ომის თავიდან აცილებას და არსებულ სტატუსქვოს დაცვას, ტოტალიტარულმა ბლოკმა კი თავის ლოზუნგათ წამოაყენა «სასიცოცხლო არეს» გაფართოვება.

საბჭოთა კავშირი აღვირახსნილი დიქტატურის ქვეყანაა. მის პოლიტიკურ და ეკონომიურ რეჟიმს დემოკრატიასთან არაფერი აქვს საერთო, იდეოლოგიურად იგი დიამეტრალურად განსხვავდება დემოკრატიულ ქვეყნებისაგან და მისი თავის ამოყოფა დემოკრატიულ ბლოკში პირველი შეხედვით არაბუნებრივ მოვლენის შთაბეჭდილებას ახდენს; მაგრამ სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იდეოლოგიას, არამედ ინტერესებს. თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი მისთვის ყველა ხელმისაწვდომ საშვალებებით აწარმოებდა გააფთრებულ ბრძოლას დემოკრატიის წინააღმდეგ და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლამ დიდათ შეუწყო ხელი ტოტალიტარულ რეჟიმების დამყარებას ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში. ახლა კი დრონი იცვალენ: ტოტალური სახელმწიფოების ახალი ლოზუნგი—სასიცოცხლო არეს გაფართოვება—თუ პირველ რიგში არა, საბოლოო ანგარიშში მასაც ემუქრება და სასიკვდილო განაჩენს უმზადებს. ეს საშიშროებაა, რომ აიძულებს ცხვრის ქურქში გაეხვიოს და დროებით, უკეთეს პირობების მოლოდინში, საშიშროების წინაშე დამდგარ სახელმწიფოების მფარველობა და დემოკრატიის დაცვა თავის საქმედ გამოაცხადოს. დემოკრატიული სახელმწიფოები ძლიერი ბლოკის შექმნით იმედოვნებენ ომის თავიდან აცილებას, რადგან ეს უკანასკნელი უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს მთელ კულტურულ მსოფლიოსათვის. საბჭოთა კავშირს ევროპის ახალი ომის სხვებზე კიდევ უფრო მეტად ეშინია; მას არ უნდა საერთაშორისო კონფლიქტში ჩაებას, მაგრამ ეშინია, რომ, თუ ომი ატყდა, თავიდან ვერ

აიცილებს ამ საშიშროებას. თუ არა ეს შიში, იგი სიამოვნებით მიეგებებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ომის ქარცეცხლში გახვევას და მოთმინებით დაუცდიდა მეომარ მხარეების დასუსტება განადგურებას, რომ ესარგებლა დროით და ხელახლავ წამოეყენებია მსოფლიო რევოლიუციის ლოზუნგი. მისდა საბედისწეროდ საამისო იმედი სავსებით გამქრალია.

ეს გარემოებაა, რომ აფიქრებს საბჭოთა კავშირის ბატონებს და სრულიად ბუნებრივი და ადვილად გასაგებია, რომ ყოველივეს ღონობენ კარზე მომდგარ საშიშროების თავიდან ასაცილებლად. მისთვის, რა თქმა უნდა, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ჭიდილის გარეშე დარჩენილიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ კრემლის მესვეურთ ამის იმედი კიდევ არა აქვთ სავსებით დაკარგული და სწორედ ამით აიხსნება ის თაღლითობა, რომელსაც ისენი იჩენენ ინგლის-საფრანგეთთან მოლაპარაკების საქმეში. უდაოა, რომ ინგლისი და საფრანგეთი დიდ დათმობებზე წავიდენ, მაგრამ კრემლი მაინც ფეხს ითრევს და ახალ დაბრკოლებებს ქმნის. ამავე დროს დაჟინებული ხმები დადის, რომ მოსკოვი ფარულად აწარმოებს მოლაპარაკებას გერმანიასთანაც. შეიძლება, რომ მოლაპარაკების გაჭიანურებაც ამით აიხსნებოდეს. ვინც კარგად იცნობს კომუნისტური ხელისუფლების პოლიტიკას,—საშინაოა იგი თუ საგარეო,—მისთვის ცხადია, რომ ეგ პოლიტიკა ყოველთვის იყო მხოლოდ და მხოლოდ მიმდინარე დღის ინტერესებით შემოფარგლული: ოღონდ დღეს გადაარჩინოს თავისი არსებობა ხიფათისაგან,—ეს არის მისთვის მთავარი და ყველაფერი; ამისთვის იგი დაუფიქრებლად და უყოყმანოდ გასწირავს ქვეყნისა და ხალხის ხვალინდელ და ზეგინდელ დღის ინტერესებს. უდაოდ შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი მისი თამაშიც ამ დღევანდელი დღის ინტერესებით არის ნაკარნახევი. საკმარისი იქნება დარწმუნდეს, რომ ახლო მომავალში არ მოელის მას საშიშროება გერმანიის მხრიდან, იგი უმალვე ზურგს შეაქცევს ინგლის-საფრანგეთს, შეწყვეტს მოლაპარაკებას და განზე გადგება. თუ ამაში ვერ დარწმუნდა, მაშინ იძულებული იქნება შევიდეს კავშირში დემოკრატიულ სახელმწიფოებთან.

ახლა დავუშვათ, რომ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა გამართლდა და საბჭოთა კავშირი შეუთანხმდა ინგლისსა და საფრანგეთს. გაამართლებს კი იგი იმ იმედებს, რომელსაც მაზე ამყარებენ? უკედ რომ ვსთქვათ, საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ ბლოკში შესვლა ხელს თუ აალებიებს გერმანია-იტალიას «სასიცოცხლო არეს» გაფართოების იდეაზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი საქმეა. მაგრამ შეუძლებელი არაფერია და ჩვენ შევჩერდებით იმ შემთხვევაზე, თუ იმედი არ გამართლდა და ომი მაინც ატყდა. რას იზამს, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში მოსკოვი? შეასრულებს იგი დაპირებას, თუ ისევე გააყალბებს თავის ხელის მოწერას, როგორც ეს მას არაერთხელ უქნია? ჩვენ იჭვი არ გვეაარება იმაში, რომ იგი ერთხელ კიდევ გააკეთებს ცდას, რომ ატეხილ ომის გარეშე დარჩეს, მაგრამ თუ მან ეს ვერ შესძლო, იმ შემთხვევაშიც მოკავშირენი არ ქნებიან დაზღვეული ახალი ბრესტლიტოვსკიდან.

ევროპის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწენი სხვადასხვანაირად აფასებენ საბჭოთა კავშირის სამხედრო წონას და მნიშვნელობას, მაგრამ არ გვგონია, რომ დემოკრატიული ბლოკის დღევანდელ წრეებს გადაჭარბებული იმედები ქონდეთ. მართალია ცოცხალი ძალების მხრივ კავშირის შესაძლებლობა უზომოდ დიდია. შეიძლება სამხედრო საშვალებათა მარაგიც თვალსაჩინო ქონდეს მას. მაგრამ ეს ორი მთავარი ელემენტიც არ კმარა სამხედრო ძლიერების საბუთად. აუცილებელი საჭიროა, რომ ამ ორ ელემენტს მესამე ელემენტიც თან ახლდეს.—ეს არის მოსახლეობის ნდობა არსებულ ხელისუფლებისადმი და მტკიცე გადაწყვეტილება დაიცვას თავისი ქვეყანა, რომელიც მას უწევს მკვიდრ დედობას და არა ბოროტ დედინაცვლობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ მხრივ საბჭოთა კავშირში ყველაფერი ვერ არის წესრიგზე; არამც თუ დაპყრობილ-დაჩაგრული ერები, არამედ მკვიდრი რუსობაც არ ატარებს არავითარ ნდობას მის დღევანდელ ხელისუფლებისა და ამ უკანასკნელის მიერ რკინითა და ცეცხლით დაწესებულ პოლიტიკურ-ეკონომიურ რეჟიმისადმი. ეს ხელისუფლება და მისი რეჟიმი საერთო სიძულვილის საგანია და ყოველი მცხოვრები, თუ ის არ ეკუთნის პრივილეგიურ წოდებად ქცეული კომუნისტურ მაღალ ფენას, დღე და ღამე ხელისუფლების და რეჟიმის დაქცევაზე ოცნებობს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლება ვერ შესძლებს სერიოზულ მოწინააღმდეგეს გაუმკლავდეს და ხანგრძლივი ომი აწარმოვოს. ეს მდგომარეობა იმათ ღირს, რომ იგი წინასწარ იქნეს გათვალისწინებული იმ სახელმწიფოების მიერ, რომელნიც ცდილობენ მოსკოვს გადაებან.

დღევანდელ საერთაშორისო გართულებულ ხანაში უაღრესად მძიმეა დაპყრობილ ერების მდგომარეობა, განსაკუთრებით იმ ერების, რომელთაც სახელმწიფოებრივი წარსული აქვთ და დაკარგულ დამოუკიდებლობის აღსადგენად იბრძვიან. ახლანდელ პირობებში მათ სჭირიათ დიდი ტაქტი და სიფრთხილე; ყოველივე გაუფრთხილებელი,—ავანტიურის მზგავსი,—ნაბიჯი მათთვის საბედისწერო კატასტროფა იქნება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვადასხვანაირ კომბინაციების მაძებარ დიდმა სახელმწიფოებმა ანგარიში არ გაუწიონ დაპყრობილ ერების კანონიერ მისწრაფებებს. ყოველ შემთხვევაში მათ კარგად უნდა იცოდენ, რომ დაპყრობილი ერები იბრძვიან არა იმისათვის, რომ ერთი ბატონი მეორეთი შესცვალონ, არამედ იმისთვის, რომ თავი დააღწიონ უცხო ქვეყნისა და უცხო ხალხის ყოველგვარ სახის ბატონობას.

ბ. არიძე.

# საბჭოთა კავშირში

## საყოველთაო აღწერის ცნობები.—სახელმწიფო ბიუჯეტი 1939 წ.

საბჭოთა გაზეთებმა ამ ივნისის დასაწყისში ორი საყურადღებო ცნობა გამოაქვეყნეს: ერთია—ზოგადი ცნობები საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერის, ამ 17 იანვარს ადგილი რომ ჰქონდა; მეორეა —1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამ ორ ამბავს, რასაკვირველია, ერთი მეორესთან არავითარი კავშირი აქვს, ხოლო ორივე ამბავი ჩვენი მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

საყოველთაო აღწერა. მცხოვრებთა რიცხვი მთელ საბჭოთა კავშირში ამა წლის 17 იანვარს შეადგენდა 170.467.186 სულს; ამათგან 81.664.981—მამაკაცია და 88.802.205—დედაკაცი.

ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 55.909.908 სულს (33 პროც.), ხოლო სოფლის—114.557.278 (67 პროც).

ამის წინ, უკანასკნელი აღწერა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოხდა 17 დეკ. 1926 წელს და მაშინ მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა სულ 147.025.915 სულს; ამნაირათ, მცხოვრებთა საერთო რიცხვს ამ თორმეტი წლის განმავლობაში უმატნია სულ 15,9 პროცენტით, რაც შეადგენს მატებას წლიურათ დაახლოებით 1,3 პროცენტს.

მატების საერთო რაოდენობა—23 მილიონი—თავისთავად ძალიან დიდი რიცხვია, მაგრამ იგი ვერ ამართლებს მაინც ვარაუდს წარსულის მიხედვით, რომლის თანახმად 1939 წლისთვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 175 მილიონზე მეტი უნდა ყოფილიყო (იხ. ერთა ლიგის «ანნუერი 1937-38 წლის).

ქალაქების ზრდა ძალიან დიდი ყოფილა: 26.314 ათას სულიდან (1926 წ.) იგი 55.909 ათას სულზეა გადაცილებული, ე. ი. ქალაქების მოსახლეობას ამ 12 წლის განმავლობაში 112,5 პროცენტით უმატნია; სოფლის მოსახლეობას კი, წინაალმდეგ, დაუკლია: 120.713 ათას სულიდან 1926 წელს იგი 114.557 ათას სულამდე ჩამოსულა 1939 წელს. ე. ი. სოფლის მოსახლეობას 5.1 პროც. დაუკლია.

მოსახლეობის ზრდა სხვადასხვა რესპუბლიკის მიხედვითაც სხვადასხვანაირია. ასე, ეს ზრდა უდრის სხვადასხვა რესპუბლიკაში სულ (პროცენტებით):

| | |
|---|---|
| 1. რუსეთის | 16.9 |
| 2. უკრაინის | 6,6 |
| 3. ბელორუსიის | 11,7 |
| 4. აზერბაიჯანის | 38,7 |
| 5. საქართველოს | 32,3 |
| 6. სომხეთის | 45.4 |
| 7. თურქმენისტანის | 25.6 |
| 8. უზბეკისტანის | 37.6 |
| 9. ტაჯიკისტანის | 43,9 |
| 10. კაზახისტანის | 1,2 |
| 11. კირგიზიის | 45,7 |
| სულ საერთოთ საბჭოთა კავშირში | 15.9 |

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ განაპირა რესპუბლიკების მოსახლეობის (გამონაკლისს წარმოადგენს კაზახისტანი) ზრდა პროცენტულათ განსაკუთრებით დიდია, ვინემ თვით რუსეთში, უკრაინაში და ბელორუსიაში.

კერძოთ. საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა 2.677.233 სულიდან (1926 წ.) 3 542.289 სულამდის ასულა (1939 წ.), ე. ი. მოსახლეობას უმატნია 32.2 პრ., რაც წლიურათ 2,7 პროც. მატებისას უდრის დაახლოებით.

ქალაქების მოსახლეობა საქართველოში უდრის —1.066.650 სულს (30,1 პროც.) ნაცვლად 594.221-სა (22,3 პროც.); ხოლო სოფლის მოსახლეობა 2.475.729 სულს (69,9 პროცენ.) ნაცვლად 2.083.012-სა 1926 წ. (77,7 პროც.) *).

საქართველოს მოსახლეობის ასეთი სწრაფი ზრდა —2,7 პროც. წლიურად—ძალიან სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს; ხოლო იგი ჩვენ არ მიგვაჩნია, სამწუხაროთ, ბუნებრივად და ამის საბუთს უპირველეს ყოვლისა გვაძლევს ის გარემოება, რომ წინა წლების განმავლობაში, სახელდობ 1897 წლიდან 1926 წლამდის ე. ი. მთელი 30 წლის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობამ იმატა სულ 37 პროც., რაც წარმოადგენს წლიურ მატებას არა უმეტეს 1,2 პროცენ. მატების პროცენტი ახლა ორჯერ უფრო მეტია.

ყურადღებას იქცევს კიდევ ის გარემოება, რომ ეს განსაკუთრებული მატება ეტყობა სწორეთ განაპირა ქვეყნებს: აზერბაიჯანს, სომხეთს, უზბეკისტანს, ტაჯიკისტანს და სხვ. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, და ამის შესახებ ვეცდებით სხვა დროს ვილაპარაკოთ, რომ მომატებულ მოსახლეობის დიდ რაოდენობას განაპირა რესპუბლიკებში წარმოადგენს რუსობა გაგზავნილი და ჩასახლებული იქ ჩინოვნიკები, ჯარების, მუშების თუ უბრალო კოლონისტების სახით. ამის ცნობებს, ხოლო სხვა გარემოების გამო, თვით საბჭოთა სტატისტიკა იძლევა.

მაგრამ სჯობს მაინც დაუცადოთ აღწერის უფრო ფართე და დეტალურ ცნობებს და საბოლაო აზრიც მაშინ გამოვიტანოთ.

ქალაქების მოსახლეობის ზრდა საერთო მოვლენაა საბჭოთა კავშირში და საქართველოც ამ ტენდენციას მიყვება. თუ 1926 წ. საქართველოში 32 ქალაქი ითვლებოდა, ახლა ქალაქების რიცხვი (თუ მართლა ყველა ესენი ქალაქებია) 51 უდრის. განსაკუთრებით გაზდილა დედა-ქალაქი თბილისი: 1926 წ.—294.044.

*) როგორც საერთო რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის, ისე კერძოთ რაოდენობა სოფლის მოსახლეობის 1926 წლისთვის ახლა გამოქვეყნებულ ცნობებში მომატებულია 10.739 სულით («იზვესტია» 2 ივნისის); ეს უნდა აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ 1926 წლის შემდეგ საქართველოს საზღვრები ცოტათი—ერთი თუ ორი სოფლით—გადაწეული იყო ჩრდილოეთით. ცნობები 1926 წლის აღწერის იხ. კ. კანდელაკის «საქართველოს ეროვნული მეურნეობა» გვ. 125 და შემდეგი.

1939 წ.—519.175 სული: მატება უდრის 76.6 პროც. გაზდილა ქუთაისი 48.196 სულიდან 81.479-მდის (69 პროც.)., ბათუმი—46.474-დან 70.807-მდის (46,1 პრ.).

ბათუმის, ჩვენი და მთელი შავი ზღვის ერთი უდიდესი პორტის, მოსახლეობის ზრდა უფრო ნაკლების ტემპით ვიდრე. მაგალითად, ქუთაისის მაჩვენებელია იმის, რომ ამ პორტის აღებ-მიცემობას კავკასიისა და საერთაშორისო ბაზრისთვის დაუკარგავს ძველი მნიშვნელობა.

საყოველთაო აღწერის შედეგები, თუ ისინი განზრახ არ ამახინჯებენ სინამდვილეს და საქმის ცოდნით არის აღწერა წარმოებული. ყოველთვის საინტერესო ცნობებს იძლევიან და ჩვენც ვეცდებით ამ საკითხს დავუბრუნდეთ დანარჩენ ცნობების გამოქვეყნების მიხედვით.

. .

სახელმწიფო ბიუჯეტი. საბჭოთა სავშირის უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ხოლო მკითხველს მოეხსენება. რომ იგი ამტკიცებს ბიუჯეტს როგორც მთელ საბჭოთა კავშირისას, ისე მოკავშირე რესპუბლიკებისას და ამ უკანასკნელებში შემავალ ადგილობრივ მართველობებისას.

გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით («პრავდა», «იზვესტია»—3 ივნისის) მთელი საბიუჯეტო შემოსავალი უდრის 156.097 მილიონ მანეთს და გასავალი 155.447 მილ. მანეთს; შემოსავალი სჭარბობს გასავალს მთელი 650 მილ. მანეთით.

ეს არის უდიდესი ბიუჯეტი საბჭოთა კავშირს რომ ოდესმე ჰქონია და უდიდესიც მრავალ დიდ სახელმწიფოებთან შედარებით.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ამ ბიუჯეტის განხილვას, ხოლო გავაცნობთ მკითხველს ზოგს მის დამახასიათებელ მხარეებს. ისიც საჭიროა ითქვას, რომ ვრცლად და დეტალურად საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი არც ქვეყნდება ხოლმე.

მთელი შემოსავლიდან გადადის განკარგულებაში (საგასავლო ბიუჯეტი):

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცენტრალური მთავრობის— | 116.725 | მილ. მ., | 75,1 | პრ. |
| 11 მოკავშირე რესპუბლიკის | 11.713 | ,, ,, | 7,5 | ,, |
| ადგილობრივი მართველობის (რაიონები, ქალაქები და სხ.) | 27.008 | ,, ,, | 17,4 | ,, |

ამნაირათ. საბჭოთა კავშირის მთელი შემოსავლის უდიდეს ნაწილს ხარჯავს, როგორც წინა წლებში ხარჯავდა, ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი დაწესებულებების ხელში გადადის მეტი, ვინემ ეროვნული მოკავშირე რესპუბლიკების განკარგულებაში (ერთად ყველა რესპუბლიკების 7.5 პროც.); ეს უკანასკნელი გარემოება, რა თქმა უნდა, უკარგავს ეროვნულ რესპუბლიკებს საშვალებას დამოუკიდებელ საქმიანობისთვის და პრესტიჟსაც საზოგადოების თვალში.

უდიდეს ნაწილს საბჭოთა კავშირის ბემოსავლისას წარმოადგენს არაპირდაპირი გადასახადი, რომელსაც უწოდებენ გადასახადს საქონლის ტრიალზე, სახელდობ 92.438 მილ. მანეთი, ანუ მთელი შემოსავლის 59.4 პროც.

უდიდესი ნაწილი გასავლისა მიდის, რა თქმა უნდა, სახალხო მეურნეობაზე. რადგან მთელი სახალხო მეურნეობა სახელმწიფოს ხელში იმყოფება. სახელდობ—59.310 მილ. მან. ანუ მთელი გასავლის 38,2 პროც. მეორე ადგილი უჭირავს ხარჯებს თავდაცვისთვის—40 885 მილ. მან. ანუ 26 პროც.; შემდეგ მიდის სახალხო განათლების და სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯი—38.564 მილ. მან. ანუ 24 8 პროცენტი და სხვ.

გამოქვეყნებულ ცნობებიდან არ სჩანს, როგორ არის განაწილებული ეს ხარჯები დეტალურათ; ვტყობილობთ მხოლოდ იმას, თუ რამდენი მიეცა თითოეულ რესპუბლიკას ბიუჯეტით.

ჩვენ წინათაც გვითქვამს და მკითხველსაც კარგად მოეხსენება და ახლანდელი ბიუჯეტიც იმასვე გვეუბნება, რომ ცენტრალურ მთავრობას ხელთ უპყრია თითქმის ყველა წყაროები შემოსავლის და შემდეგ ცენტრი ამ შემოსავლის ნაწილს აძლევს მოკავშირე რესპუბლიკებს და ადგილობრივ მართველობას, რომ ამათაც რაღაცა აკეთონ. ცხადია, ასეთი წესი,—სწორია ეს თუ არა, ეს სხვა საკითხია,—სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ცენტრი მოკავშირე რესპუბლიკებს მოწყალებას აძლევდეს, რომ რესპუბლიკები ცენტრის ხარჯზე ცხოვრობდენ.

თვით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს და ფინანსისტებს არ ესმით ეს ასე და ასეთ სისტემას ამართლებენ ვითომდა მიზანშეწონილობით: «ცენტრალიზაცია შემოსავლის» და «დეცენტრალიზაცია ხარჯების», მათის თქმით, საუკეთესო სისტემაა ფინანსიურ პოლიტიკის. საბჭოთა პრაქტიკაში, რასაკვირველია, ეს ასე არ არის; მაგრამ ფაქტი მაინც ისაა, რომ შემოსავალი მოკავშირე რესპუბლიკების თითქმის სავსებით ცენტრის განკარგულებაში რომ გადადის და აქედანაა რომ ცენტრი შემდეგ ერთ ნაწილს ეროვნულ რესპუბლიკებს და ადგილობრივ მართველობას უბრუნებს, ამას ისინი და არც მათ მიერ გამოქვეყნებული ბიუჯეტი არ მალავს.

და სწორეთ დამახასიათებელია , რომ ამ ფაქტს სავსებით არ ააშკარავებენ და რაღაც ბურუსში ხვევენ რუსული ემიგრანტული ზოგიერთი გაზეთები, რომლიდანაც საერთოთ მკითხველი მიჩვეულია გაგებას რუსეთის ამბებისას, რამდენათაც მისთვის საბჭოთა გაზეთები ხელმიუწდომელია.

ასე, მაგალითად, გაზ. «პოსლედნია ნოვოსტი» (7 ივნისის). გადმოგვცემს მოკლეთ შინაარს 1939 წლ. ბიუჯეტისას, რომელსაც რატომღაც «პირველ კონსტიტუციონურ ბიუჯეტს» უწოდებს, თუმცა სწორეთ იმავე წესით და იმავე მუხლობრივათ, როგორც წელს, შარშან აგვისტოში მიღებული იყო უზენაეს საბჭოს მიერ 1938 წლის ბიუჯეტიც და თითქმის ყოველთვის ეს დიდი ხანია ისე, როგორც ახლა. რესპუბლიკანური ბიუჯეტები საკავშირო ბიუჯეტიდან განცალკევებული იყვენ.

საინტერესო ის არის, რომ ამ გაზეთის განმარტებით, სხვათა შორის, ადგილობრივი ბიუჯეტები საკუთარ შემოსავლით (რომელ საკუთარ შემოსავლით?) ადგილობრივ ხარჯებს რომ ვერ ფარავენ, დოტაციებს იღებენ და ამ დოტაციების მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არის თურმე ჩაყენებუ-

ლი რუსეთი (რუსეთის საბჭოთა სოც. ფედ. რესპუბლიკა). იგი თურმე მთელი ხარჯების ნახევარს ადგილობრივი ბიუჯეტისას თვითონ ფარავს, მაშინ როცა ადგილობრივი ბიუჯეტით უკრაინას შემოდის 1,9 მილიარდი, ხარჯავს კი—4,6 მილიარდს; საქართველოს შემოდის 182 მილიონი, ხარჯავს კი—630 მილიონს; კირგიზიას შემოდის 45 მილიონი, ხარჯავს კი 215 მილ. საწყალი რუსეთია დაჩაგრული: იგი ხარჯავს 17,5 მილიარდს, მაგრამ საკუთარი შემოსავალი აქვს 8 მილიარდი!..

ეს სრულებით ასე არ არის: ადგილობრივი მართველობის ბიუჯეტები იფარება ნაციონალურ რესპუბლიკების ბიუჯეტიდან და რამდენათაც მეტია ადგილობრივი ბიუჯეტით შემოსავალი, იმდენათ ნაკლები აკლდება ნაციონალურ რესპუბლიკის ბიუჯეტს, და წინაუკმოთ. ცენტრი აქ არაფერ შუაშია, გარდა იმისა რასაკვირველია, რომ მთელი შემოსავალი საერთოდ მის ხელში გადის.

რუსეთის რესპუბლიკის ადგილობრივ ბიუჯეტს თუ ნახევარი აკლდა, სწორეთ ეს ნახევარი მოაკლდა რუსეთის რესპუბლიკანურ ბიუჯეტს; ხოლო საქართველოს ადგილობრივ მართველობების ბიუჯეტს რომ ოთხი მეხუთედი აკლდა, ეს ოთხი მეხუთედი ჩამოსჭრეს საქართველოს რესპუბლიკის ხარჯებს, მისცეს იგი ადგილობრივ მართველებს, და რესპუბლიკის კასა მით გამოფიტული დატოვეს. სახელდობ: საქართველოს რესპუბლიკის მთელი ბიუჯეტი დამტკიცებულია 1.147 მილიონ მანეთის ფარგლებში; აქედან თვით რესპუბლიკისთვის 965 მილ. მანეთი და ადგილობრივი მართველობის—182 მილ. მანეთი; ხოლო რადგანაც ადგილობრივი მართველობათა ხარჯი უდრის 630 მილ. მანეთს, რესპუბლიკის ბიუჯეტს ჩამოაკლეს ამათი დანაკლისის შესავსებათ 448 მილ. მანეთი; ამნაირად, საქ. რესპუბლიკას რჩება თავის ფუნქციებისთვის სულ 517 მილ. მან., ხოლო ადგილობრივი ადმინისტრაციის—630 მილ. მან.

როგორც ხედავთ, რუსეთის რესპუბლიკა უკეთეს მდგომარეობაში რჩება, რადგან მას დააკლდა ნახევარი, ვინემ საქართველოს რესპუბლიკა, რომელსაც დააკლდა თითქმის ოთხი-მეხუთედი.

ამ ცნობის ამოკითხვა ყველას ერთნაირად შეუძლია გამოქვეყნებულ ბიუჯეტიდან. მაგრამ თუ მას სხვანაირ ტენდენციით აქვეყნებს «პოსლ. ნოვოსტი», ეს იმას ნიშნავს რომ მის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს კარგად გასინჯვა სჭირია.

ბ. ბ.

## საბჭოთა ეკონომიკის უხილავი „ალმავლობა“

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობა, რომელიც გასულ მაისის დამლევს სწარმოებდა, მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობდა. საერთაშორისო ცხოვრების უაღრესად გართულებით ძარღვებ დაჭიმული კაცობრიობა მოელოდა ამ სესიაზე საბჭოთა კავშირის პოზიციისა და გეზის გამჟღავნებას. მსოფლიო ომის საშიშროება კარგა ხანია ნათლად ისახება და ყველასთვის ნათელია ასეთს ვითარებაში საბჭოთა იმპერიის პოზიციის როლი და მნიშვნელობა.

უთუოდ კიდევ მეტი იქნებოდა ამ სესიისადმი ინტერესი საბჭოთა კავშირში მომწყვდეულს ერებში. სტალინის კონსტიტუციამ მათ მრავალნაირი იმედები აღუძრა, იმედები საბჭოთა წყობილების ევოლიუციისა, ამ უცნაურ სისტემის გარდაქმნისა და მისი მიმართვის ნორმალურ სახელმწიფოებრივ წყობისაკენ... მაგრამ ეს სესიაც დასრულდა და შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მან სრულიად გაჰფანტა ის იმედები, რომლებსაც მაზედ ამყარებდენ შინ და გარედ. საბჭოთა კავშირის გეზი საერთაშორისო ვითარებაში დარჩა ისევე ბუნდოვანი და გამოურკვეველი სესიის დასრულებისას, როგორიც იყო სესიის გახსნამდის. ხოლო რაც შეეხება მის შინაურ წყობას, აქ თუ რამ გამოირკვა, ეს არის არა წინსვლა საბჭოთა წყობილების გაჯანსაღების გზაზედ. არამედ უკან დახევა, უკვე განვლილ და განაცად «სამხედრო კომუნიზმის» მიმართულებით. უკანასკნელ ხანში კოლხოზის წევრებს რომ საკუთარ მფლობელობაში მიეცათ ეზო-გარემო, ამას დიდი ეკონომიური ცვლილებები გამოუწვევია სოფლისა და თვით ქალაქის ცხოვრებაში. თვით საბჭოთა პრესსა იძლეოდა მრავალ ცნობას ამის შესახებ. საკუთარ მფლობელობაში მიღებულ პატარა ნაკუწებზე სოფლის მეურნეთ საქონელიც მოუშენებიათ, ჭირნახული და ბოსტნეულიც ბლომად მოუყვანიათ და ეს მალე დატყობია ქალაქებსაც. ბაზარზე საკმაო სოფლის ნაწარმოები გაჩენილა. სრულიად მარტივი ლოღიკა მოითხოვდა ასეთი მოვლენისადმი ყურადღების მიქცევას და გლეხობის ამ პატარა საკუთარ მფლობელობათა გაფართოვებასა და დაცვას. მაგრამ კომუნისტური ეკონომიური ლოღიკა კვლავ განაგრძობს ბუნებრივ ადამიანურ ლოღიკასთან ბრძოლას და უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი სესიის შემდეგ აღებულია გეზი ბრძოლისა, შეზღუდვისა და შებორკვისა იმ პატარა თავისუფალი სასუნთქვის მიმართ, რომელიც გაუჩნდა სასოფლო მეურნეობას მიწის პატარა ნაკუწების საკუთარ მფლობელობაში გადაცემის სახით.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც ახასიათებს კავშირის უმაღლესი ორგანოს ბუნებას და მასთან ერთად მთელ საბჭოთა სისტემას. შეიკრიბა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სუვერენული კრებული, ასე ვთქვათ ბატონ პატრონი უდიდესი იმპერიისა, რომლის საზღვრებში მომწყვდეულია მრავალი ქვეყნები, მრავალი ერები, ერთმანეთისაგან დიდათ განსხვავებულნი ეკონომიური, პოლიტიკური და მრავალი სხვა ინტერესებითა და ცხოვრების პირობებით. შეიკრიბა ის მეტად გართულებულს საერთაშორისო ვითარების დროს; შეიკრიბა ის 170 მილიონიან მოსახლეობის ცხოვრების მოსავლელად და მოსაგვარებლად. ბუნებრივი იქნებოდა, რომ უმაღლესი ორგანოს სესიის მუშაობის დროს საბჭოთა მთავრობას გადაეშალა «ყველაზე უფრო დემოკრატიულ» ქვეყნის პარლამენტისთვის თავისი გეგმები

ამ დიდ პრობლემათა შესახებ და ადგილი ჰქონოდა მათ გარშემო ცხოველ სჯასა და დავას, საკითხების ყოველმხრივ გაშუქებასა და შემდეგ გადაჭრასა და გადაწყვეტას. ამის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ უმაღლესი საბჭოს ისეთი შეკრებილობა, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა ათასობით სოფლებსა და რაიონებში გამართულ კრებებისაგან, სადაც მთავრობის აგენტები აცხადებენ მთავრობის ბრძანებებსა და დადგენილებებს და შემდეგ მათგან ღებულობენ ერთსულოვანი დასტურისა და მოწონების რეზოლიუციებს.

სესიის წინაშე გაიმართა პარადი საბჭოთა კომისრებისა, რომელთაც ერთმანეთში გაუნაწილებიათ პოპულიარიზაცია იმ «საანგარიშო მოხსენებისა», რომელიც სტალინმა გააკეთა გასულ მარტის კომუნისტურ პარტიის მე-18 ყრილობაზე. ამის გამო ზედმეტი და უიმედო საქმეა ამ სესიის მუშაობაში ძებნა კავშირის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის რაიმე ახალი გზებისა და ახალი ხაზების. «მშობლიურმა მამამ» უკვე სთქვა პარტიის ყრილობაზე. რის თქმა მან საჭიროდ მიიჩნია. ხოლო სტალინმაც სთქვა ამ ყრილობაზე, რაც მას და მის ამხანაგებს ათასჯერ უთქვამთ და გადაუღეჭიათ.

მაგრამ სტალინის ეს «საანგარიშო მოხსენება» მაინც არის ერთს რამეში ახალი და არაჩვეულებრივი. წინეთ ასეთ დემაგოგიურსა და მდაბიურ საპროპაგანდო კვეხნითა და ტრაბახით აღვსილ მოხსენებებს სხვები აკეთებდენ. ხოლო თვით სტალინი მეტად ფრთხილი იყო თავის გამოსვლებში და გაურბოდა საბჭოთა ცხოვრების სიმახინჯეთა დასახვას ყალბს ფერებსა და სამოსელში. ხშირად ის თვითონვე ამჟღავნებდა კომუნისტურ პოლიტიკის მახინჯ მოვლენებს და საბჭოთა პოლიტიკის ზოგიერთ მხარეს ჰგმობდა და აკრიტიკებდა. ამ ახალს თავის მოხსენებაში სტალინი სავსებით მიჰყვება მისი აგენტების შაბლონს და იმზომად განუსაზღვრელი ხოტბით ამკობს საბჭოთა პოლიტიკის ყველა დარგსა და ყველა სფეროს, რომ ჭეშმარიტად დასაჯერებელი იქნებოდა მსოფლიოს ერთ მეექვსედზედ ნამდვილი სამოთხის დამყარება, რომ... ოდნავადაც მაინც ჰფარავდენ საბჭოთა კავშირის ცხოვრების სიმახინჯეს ის ლამაზი საღებავები. რომლითაც ის მას ღებავს

ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით ამ მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განსაცვიფრებელ «აღმავლობას». ეს ეკონომიკა არის, რასაკვირველია ღერძი იმ სისტემისა, რომელიც ლენინმა და სტალინმა დაამყარეს საბჭოთა ქვეყნების სივრცეზე. კომუნისტური რევოლიუცია რუსეთში იყო, უპირველესად ყოვლისა სოციალური რევოლიუცია და მას მიზნად სწორედ ეკონომიურ-სოციალურ ცხოვრების გარდაქმნა ჰქონდა დასახული. სტალინი თავისი კონსტიტუციის დამტკიცების დროსაც აღნიშნავდა დიდის სიამაყით. და ამას დღესაც ასევე ამაყად იმეორებს, რომ რუსეთის ეკონომიურ-სოციალურ ცხოვრების ეს გარდაქმნა განხორციელდა რუსეთში ასი პროცენტით. კაპიტალისტური სისტემა იქმნა აღმოფხვრილი ძირიან ფესვიანად და სოციალური კლასები კაპიტალისტებისა და მემამულეებისა სავსებით მოსპობილი და განადგურებული. ეს უთუოდ სრული ჭეშმარიტებაა და სტალინის ასეთს დასკვნებს ვერავინ შეედავება. ამის შემდეგ სტალინი ასეთივე სიამაყით გვამცნობს ამ უდიდესი გარდაქმნის ბედნიერ შედეგებს, და აქ უკვე იწყება უდავო სინამდვილეთა მოურიდებელი გაყალბება და დამახინჯება.

სტალინი გვარწმუნებს, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 238 პროცენტით. რასაკვირველია ეს უდიდესი მიღწევა იქნებოდა ისეთ ხანისთვის, როდესაც მთელი მსოფლიო განიცდის დაუსრულებელ ეკონომიურ კრიზისს... მაგრამ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს პროდუქცია იყო მეტად მცირე, და მისი ასეთი ზრდა თავის თავად არაფერს მოასწავებს. ამის საპასუხოდ სტალინი გვაძლევს ცნობას, რომ ეს ზრდა კიდევ უფრო დიდი იქნება. უკეთუ მას შევადარებთ ძველი რუსეთის ხანას. 1913 წელთან შედარებით საბჭოთა მრეწველობის პროდუქცია გაზრდილა ცხრაჯერ—908 პროცენტით. ამავე პერიოდში კი ამერიკის მრეწველობის მატება იყო 20 პროცენტი, ინგლისის—18, გერმანიის—31. და საფრანგეთისას დაუკლია 12 პროცენტით.

ფრიად მნიშვნელოვან «აღმავლობას» ჰქონია ადგილი სასოფლო მეურნეობაშიაც. 1913 წელთან შედარებით დათესილ მიწების სივრცე გაზრდილა 25 პროცენტით, ცხენების რიცხვი გაზრდილა სამჯერ, მსხვილ ფეხ საქონლისა თითქმის სამჯერ, ხოლო წვრილ-ფეხა საქონლისა—ორჯერ.

ეტყობა, რომ სტალინისთვის ნაჩქარებათ მიუჩეჩებიათ ხელში მის ბრძენ ეკონომისტებსა და სტატისტიკოსებს ასეთი ცნობები და ისიც მას მთელს მსოფლიოს ამცნობს. ჩვენ არ გაგვიკვირდება. უკეთუ ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ წავიკითხავთ გაზეთებში, რომ მან დახვრიტა ეს «მეცნიერი» კომუნისტები ყალბი ცნობების მოწოდებისა და შეცდომაში შეყვანისათვის. მართალია, საბჭოთა სტატისტიკის საიდუმლოებათა გაგება თვით სტალინისთვისაც არ იქნება ადვილი, მაგრამ ამ ცნობათა სიყალბის გამჟღავნებისათვის საკმარისია მან შემდეგი საკითხი დაუყენოს თავის ბრძენ თანამშრომლებს: «თქვენ მიმტკიცებთ, რომ ჩვენი ბატონობის მანძილზე მრეწველობა გაიზარდა ცხრაჯერ. სამუშაო და საკლავი საქონლის რიცხვი სამჯერ. მნიშვნელოვანი ზრდა ყოფილა სასოფლო მეურნეობაშიაც და თუ მივიღებთ მხედველობაში. რომ ჩვენ მოვსპეთ ექსპლოტატორთა კლასები და ამით მათი წილი ქვეყნის დოვლათისა ხალხს გადავეცით, ამ ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა, მათი კვება, მათი ბინა, მათი ჩაცმა-დახურვა ერთი ორად მაინც უნდა გაზრდილიყო და გაუმჯობესებულიყო. ამის ნაცვლად ჩვენს სოციალისტურს სამოთხეში, რომელიც კომუნისტურ სამოთხის კარებთან დგას უკვე და ეს ესაა შიგ უნდა შევიდეს, მთელი ხალხი,—მუშა, გლეხი, ინტელიგენცია თუ მოქალაქე,—ნახევრად დამშეულია, პურიც ნაკლებად აქვს და ხორციც, უარეს ბინებში ცხოვრობს და ჩაცმულობა კი აქვს ადამისა და ევისა. როგორ შევათავსოთ თქვენი ბედნიერი

სტატისტიკა ამ ზომად მწარე სინამდვილესთან?»

აი, ასეთი მარტივი კითხვის დასმა გაუმჟღავნებს მოსკოვის მეუფეს იმ სტატისტიკის სიყალბეს, რომელსაც იმუშავებენ მისი ხელქვეითნი და რომლითაც ის კაცობრიობის გაბრიყვებას ცდილობს. სტალინს უთუოდ მოეთხოვებოდა ასეთი ცნობების მიმართ სიფრთხილე და თავდაჭერილობა. მით უმეტეს რომ ასეთი ცნობებით უკვე არავინ მოტყუილდება. სხვა ქვეყნებს უთუოდ საკმარისი და სავსებით სწორი ცნობები აქვთ იმის შესახებ თუ როგორი შედეგები გამოიღო კომუნისტურმა სისტემამ საბჭოთა ქვეყნების ეკონომიურს ცხოვრებაში. თავის ცნობებს გარდა მათ საკმარის მასალას აწვდის ამ მხრივ თვით საბჭოების პრესსა და სპეციალური ეკონომიური გამოცემანი. ყოველდღიურ ვითარებაში ეს პრესსა მრავალ ფაქტიურ მასალას იძლევა ამ საგანზე, და ყოველივე ეს ძირიან-ფესვიანად არღვევს იმ სტატისტიკას, რომელიც სტალინმა გამოაქვეყნა თავის მოხსენებაში.

იქნებ მართლაც ადგილი აქვს საბჭოთა ეკონომიკის ასეთს ზრდას, მაგრამ ქვეყნის დოვლათის დიდ ნაწილს ნთქავს ის პრივილეგიური კომუნისტური წოდება, რომელმაც დაიკავა ადგილი წარსულ დროთა პრივილეგიურ წოდებებისა და კლასებისა? შესაძლოა აქ მიდის ქვეყნის დოვლათის დიდი ნაწილი და სტალინი ვერ ამჟღავნებს თავის სისტემის ასეთს საიდუმლოებას? ასეთს იჭვებს უთუოდ არ აქვს რაიმე გამართლება, რადგან ამ წრეების ეკონომიური მდგომარეობაც საკმარისად გარკვეული და ნათელია. რასაკვირველია ამ წრეებში ყოფილან ისეთები, რომელთაც სხვადასხვა კომბინაციებით და ბოროტმოქმედებით დიდი სალსარი შეუძენიათ და ფუფუნებითი ცხოვრებას მისცემიან, მაგრამ ასეთების რიცხვი ფრიად მცირე იყო მუდამ და ამათ წინააღმდეგ მკაცრი სასჯელიც არსებობს საბჭოთა კავშირში. ის, რასაკვირველია, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა საბჭოთა ქვეყნების საერთო დოვლათის განაწილებაში. მუშაკნი ტეხნიკური კადრისა, რომელიც ქონებრივად ყველაზე უფრო პრივილეგიურ წრეთ ითვლება საბჭოებში ღებულობენ ოთხჯერ და ხუთჯერ მეტს, ვიდრე მუშა, მაგრამ ამ მიღების რეალური ღირებულობა არაა უფრო დიდი, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნების უბრალო ქარხნის მუშის ხელფასი. სწერდენ, რომ მწერლები არიან საბჭოთა რესპუბლიკებში სიმდიდრით აღვსილნი. ეს ასეა უთუოდ. თუ მათ შემოსავალს შევადარებთ სოციალისტური სამოთხის მუშისა და გლეხის შემოსავალს. მათ შორის ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონია ალექსეი ტოლსტოის—180.000 მანეთი წელიწადში. მაგრამ ამ თანხის ღირებულობა ისეთია. რომ ამაზე მეტი შემოსავალი აქვთ კაპიტალისტურ ქვეყნებში არამც თუ უდიდეს მწერლებს არამედ ათი ათასობით მესამე ხარისხოვან გაზეთის თანამშრომლებს. ასე რომ სამართლიანობა მოითხოვს აღვიაროთ, რომ თვით საბჭოთა კავშირის უმაღლესი პრივილეგიური წრეები ქონებრივად გაცილებით ნაკლებად არიან უზრუნველყოფილი, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიურად დაბალ საფეხურზე მყოფი წრეები.

მაშასადამე საბჭოთა კავშირის საერთო ეკონომიური დაღარიბებისა და გაღატაკების მიზეზები აქ არ მოიპოება. და სავსებით ნათელია ყველასთვის თუ სად არის მისი უმთავრესი და ერთად ერთი მიზეზი. ის იმარხება იმ სისტემაში, რომელიც ხელფეხს უბორკავს ყველა წრეს და ყველა კლასს და ფაქტიურად სახელმწიფოს მოხელეებად ხდის 170 მილიონ მცხოვრებს.

ქვეყნის დოვლათის შექმნის პროცესში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ხალხის შრომა და შემოქმედება. ამ უმთავრესი ფაქტორის ზომაზე მეტად შეზღუდვა, შემცირება და ბორკილებში ჩასმა ყოველთვის იძლევა ერთსა და იმავე შედეგს—ქვეყნის დაღარიბებასა და ქონებრივად დაუძლურებას. კაცობრიობას არ ახსოვს მეორე სისტემა, რომელსაც ისე შეეზღუდოს და შეებოჭოს ეკონომიურ ძალთა მოქმედება, როგორც ეს დააკანონა ლენინ სტალინის კომუნისტურმა წყობამ. აი სწორედ ამ სისტემამ მიიყვანა სრულს გაღატაკებამდე საბჭოთა კავშირი, რომელსაც ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ შეედრება ბუნებრივ სიმდიდრით და ეკონომიურ წარმატებისათვის სხვა ხელსაყრელ პირობების მხრივ.

მართალია, ეკონომიურ ძალთა განვითარების ის განუსაზღვრელი თავისუფლება, რომელიც ახასიათებდა უკანასკნელი დროის ინდივიდუალისტურ კაპიტალიზმს, მსოფლიო ომის პროცესში დაზიანდა იმ ზომად, რომ ძვირად თუ ვინმეს შერჩა ძველს ფორმებში მისი აღდგენის იმედი. ამის გამო კაპიტალიზმი დიდს ევოლიუციას განიცდის მთელი მსოფლიოს სივრცეზე და დაეძებს ახალს დასაყრდნობ საფუძველს. არა მარტო ტოტალიტარულ სახელმწიფოებში სწარმოებს ასეთი პროცესი, არამედ დემოკრატიულ ქვეყნებშიც. ძველი დროის ინდივიდუალისტური კაპიტალიზმი მნიშვნელოვნად ფრთა შეკვეცილია ამ ქვეყნებშიაც და მეტად თუ ნაკლებად ყველგან ხდება განუსაზღვრელი ეკონომიური თავისუფლების შეზღუდვა და მისი საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესების დაქვემდებარება, მასთან შეთანხმება და შერიგება.

ხოლო ინდივიდუალისტური კაპიტალიზმის საწინააღმდეგო უკიდურესობამ, კომუნისტურ კოლექტივიზმმა და სრულყოფილ ეტატიზმა, სრული გაკოტრება განიცადა, და უკვე მოკლე დროის მანძილზე, მსოფლიო მეექვსედის სივრცეზე. ეს იმ ზომად აშკარაა და ნათელი, რომ ძველებურად მისი დაფარვა კომუნისტური ფრაზეოლოგიით შეუძლებელია და უიმედო. საბჭოთა კავშირს და მის სისტემას მრავალი მძლავრი მტერი და მოწინააღმდეგე ჰყავს შინ და გარედ, მაგრამ ყველაზე მძლავრი და შეურიგებელი მისი მტერია ეს მის სხეულში ორგანიულად ჩაქსოვილი კომუნისტური სისტემა, და სასწაული რომ მოხდეს და ყველა სხვას თავი დააღწიოს, ესეც ვერ იხსნის მას და საბოლოოდ ამ თავის პირმშო სისტემის მსხვერპლი გახდება.

ალ. ასათიანი.

## ბერლინ-მოსკოვის სავაჭრო ურთიერთობა

ორი წლის წინ ვსწერდით ამავ თემაზე. მაშინ გერმანია და საბჭოთა კავშირი ერთმანეთის უპირველესი კლიენტები იყვნენ. დღეს კი ჩვენ ვხედავთ ძირიანად შეცვლილ მდგომარეობას: ერთ დროს მეტად გაცხოველებული აღებ-მიცემობა თითქმის სრულ არარაობამდეა დასული.

აი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ აღნიშნულ დამოკიდებულებას უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მილიონ მარკებში.

| | გერმანიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში | გერმანიის იმპორტი საბჭ. კავშირიდან | ჯამი |
|---|---|---|---|
| 1929 წ. | 353,9 | 426,4 | 780,3 |
| 1930 » | 430,6 | 436.4 | 867,0 |
| 1931 » | 762,7 | 550.9 | 1313,6 |
| 1932 » | 625,8 | 475,2 | 1101,0 |
| 1933 » | 282,8 | 396,1 | 678.3 |
| 1934 » | 63,3 | 450.0 | 513,3 |
| 1935 » | 39,3 | 217,6 | 256.9 |
| 1936 » | 126,1 | 93,2 | 219,3 |
| 1937 » | 117,4 | 65,1 | 182 6 |
| 1938 » | 31,7 | 47,3 | 79,0 |

საერთაშორისო ომის წინ, 1909-13 წლებში საშვალო წლიური ჯამი გერმანია-რუსეთის ექსპორტ-იმპორტისა შეადგენდა 2,1 მილიარდ მარკას. ომის დროს შეწყვეტილი ვაჭრობა ნელ-ნელა კვლავ ჩაღდება ომის შემდგომ წლებში. 1931 წელში საბჭოთა კავშირის ვაჭრობა გერმანიასთან უდრის ომის წინა რუსეთის (რომელიც გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიას შეიცავდა) ვაჭრობის ორ მესამედს. ამ წლიდან ის სისტემატიურად ეცემა და გასულ წელში სრულიად უმნიშვნელო ხდება.

მოყვანილი ციფრების სწორად შესაფასებლად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გერმანიის საბჭოთა კავშირიდან იმპორტში 1931 წლიდან 1934 წლამდის დაახლოებით ნახევარი წარმოადგენდა საქონელს, მეორე ნახევარი კი ოქროს და ვერცხლს. 1936 და 1937 წლებში საბჭოთა კავშირის გერმანიიდან იმპორტის უცებ გაზრდა აიხსნება არაჩვეულებრივი მიზეზით: 200 მილიონი მარკის საქონლის კრედიტით, რომელიც გერმანიამ გაუხსნა საბჭოთა კავშირს 1935 წელს და რომლის გადახდის ვადა 1941 წელს იწყება.

თუ წინა წლებში საბჭოთა კავშირს გერმანიასთან ვაჭრობაში ეკავა ხან პირველი და ხან მეორე ადგილი, დღეს ის დგას მეორმოცე ადგილზე. თვით პატარა ლატვია და ფინლანდიასთან—კიდევ უფრო პოლონეთთან—გერმანიას უფრო მეტი აღებმიცემობა აქვს ვინემ «დედა მიწის მეექვსედთან». რომ მკითხველს ეს დაუჯერებლათ არ მოეჩვენოს, მოვიყვანოთ აქაც ოფიციალურად გამოქვეყნებული ციფრები. გერმანიის ექსპორტ-იმპორტის ჯამი აღმოსავლეთ მეზობლებთან უკანასკნელ წლებში, მილიონ მარკებში:

| | 1938 წ. | 1937 წ. | 1936 წ. | 1935 წ. |
|---|---|---|---|---|
| საბჭ. კავშირთან | 79,0 | 182,6 | 219,3 | 254,3 |
| ფინლიანდიასთან | 171,0 | 148:3 | 99.7 | 107.3 |
| პოლონეთთან | 197,9 | 141,0 | 110,9 | 90;3 |
| ლატვიასთან | 84,2 | 74,0 | 64,4 | 59.1 |

ასეთივე და კიდევ უფრო თვალსაჩინო სურათია სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებაში. მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების აღებ-მიცემობა გერმანიასთან გასულ 1938 წელში შვიდჯერ მეტი იყო, ვინემ საბჭოთა კავშირის; ინგლისის რვაჯერ მეტი. თავისთავად ცხადია ნორმალურ პირობებში უზარმაზარ ინდუსტრიულ გერმანიას აგრეთვე უზარმაზარ აგრარულ და ნედლ მასალებით მდიდარ საბჭოთა კავშირთან გაცილებით უფრო ფართე აღებმიცემობა უნდა ქონდეს, ვინემ ინდუსტრიულ ინგლისთან.

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შორის ვაჭრობის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი უეჭველად უნდა ვეძიოთ მათი შინაგანი ეკონომიური ვითარების შეცვლაში. გერმანიის ინდუსტრია საგრძნობლად დაკავებულია საკუთარი მოთხოვნილებებით, უპირველესად სამხედრო საჭიროებებით. საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობაც ხომ დიდი ხანია სულს ლაფავს ბოლშევიზმის კატასტროფული ეკონომიკის და პოლიტიკის წყალობით; ვალიუტაც ორივე მხარეს აკლია, მაგრამ გერმანია-საბჭოთა კავშირის აღებ-მიცემობის დაკნინება აიხსნება არა ამით, არამედ უმთავრესად პოლიტიკური მიზეზებით.

საინტერესოა მაინც ვიცოდეთ, თუ რა საქონლებისგან შესდგება თვით ის შედარებით მცირეოდენი ვაჭრობაც, რომელიც ამ ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის კიდევ სწარმოებს.

1938 წელში საბჭოთა კავშირს შემოუტანია გერმანიაში: სურსათ-სანოვაგე 1.9 მილიონ მარკის, ნედლი მასალა და ნახევარი ფაბრიკატები—41,1 მილიონის და ფაბრიკატები 4,2 მილიონი მარკის.

სურსათ-სანოვაგეში გასულ წელში უმთავრესი იყო: ცერცვეულობა (684 ათასი მ.), ნაწლევები (603), თამბაქო (374) და ზეთიანი ხილი.

ნედლ მასალასა და ნახევარ-ფაბრიკატებში დაახლოებით ნახევარს შეადგენდა ხე ტყე (21 მილ. მ.), შემდეგ მოდის ბენზინი და მაზუთი (5 მილ.), მარგანეცი (3 მ.), ტყავი და ბეწვეულობა (2.8 მ.), სელი და კანაფი (2,3 მ.).

ფაბრიკატებში უმთავრესია მატყლის ქსოვილები და ნოხები.

სრულიად აღარ სჩანს მოსკოვის ექსპორტში პურეულობა. ძალზე დაცემულია ნავთეულობის გამოზიდვა, რაიც 1936 წელს 17 მილიონს და 1935 წელს 22 მილიონ მარკას უდრიდა. სრულიად გაქრა აგრეთვე ოქრო ვერცხლი და პლატინა.

გერმ.ნიას ამავე 1938 წელში გაუტანია საბჭოთა კავშირში ნედლი მასალა და ნახევარ-ფაბრიკატები 2,9 მილ. მარკის და ფაბრიკატები 28.9 მილიონის.

როგორც ვხედავთ გერმანიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში შესდგება ცხრა მეათედით ფაბრიკატებისგან და ერთი მეათედით ნახევარ-ფაბრიკატებისა და ნედლი მასალისგან. ფაბრიკატებში დღესაც, როგორც წინედ, უპირველესი ადგილი უჭირავს მანქანებს—12 მილ. მ. (72 მილ. მარკის მაგიერ 1937 წ.), შემდეგ მოდის ელექტრონის მოწყობილობა, მავთული, მილები და სხვ.

У.



ჰანრი კორევონი

მთელ მსოფლიოში ცნობილი ჟენეველი დიდი ბოტანიკოსი, რომელმაც სამოცი წლის შრომით შექმნა შეუდარებელი ბაღი, 85 წლისა გარდაიცვალა 10 მაისს. მართლაც, ამ ბაღში იპოვნით ყველა იშვიათ მცენარეს მთებისა და აგრედვე ყველა ქვეყნებისა: ამერიკის, იაპონიის, საზოგადოთ ალმოსავლეთისა, ცივი ციმბირის და ცხელი აფრიკისა. არის კიდევ ერთი ხე, რომელსაც სრულებით განსაკუთრებული საპატიო ადგილი უკავია... ამ ბაღის სანახავად მოდიოდენ ხშირად შორეული ქვეყნებიდან წარჩინებული პირები და კორევონს სთხოვდენ თესლს და ნერგებს. მისმა განსაკუთრებულმა ნიჭმა და ენერგიამ მეცნიერ კორევონს (მას ბევრი წიგნი აქვს დაწერილი) ბევრი თაყვანისმცემელი და მეგობარი გაუჩინა. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა წრეებშიაც და მეფეები და მინისტრები მრავალჯერ მოსულან მასთან.

განსვენებული დიდი მეგობარი იყო საქართველოსი და, რასაკვირელია, შეიქმნა თუ არა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი ჟენევაში, კორევონიც მაშინვე წევრად შევიდა. თუ როგორ ესმოდა მას ეს მეგობრობა, ამის დასახასიათებლად ერთი ეპიზოდიც საკმარისია. 1925 წ. გაზაფხულზე კორევონი ტელეფონით ეძახის საქართველოს წარმომადგენელს შავიშვილს ჟენევაში: «ჩემო ძვირფასო მეგობარო, ერთ საათში ინგლისის საგარეო მინისტრს, ჩემ ძველ მეგობარს ოსტენ ჩემბერლენს ველი სტუმრად. მობრძანდით ჩემთან, ისარგებლეთ ეს კარგი შემთხვევა მასთან სალაპარაკოდ». —«ძალიან მადლობელი ვარ. მართლაც სიამოვნებით ვისარგებლებ ამ შემთხვევას, წამოვდგები და მოვალ. ერთი კი არის: ვშიშობ, არ დაგიფრთხო ასეთი პატივცემული სტუმარი, ვინაიდან გრიპი მჭირს და 39 გრადუსი სიცხე მაქვს», ეუბნება შავიშვილი — «ძალიან ვსწუხვარ, რომ ავად ყოფილხართ. ნუ ადგებით. თავს მოუარეთ. ეს უფრო საჭიროა. მე თვითონ მოვრთავ რასმეს». რას შვრება კორევონი? ის ღებულობს თავის მეგობარ ჩემბერლენს, და ათვალიერებიებს მთელ ბაღს, შემდეგ ბრუნდება შესავალ კარების ახლო ერთ ხესთან და ეუბნება: «აი, საქართველო!» ეს არის ერთი ქართული მცენარე, რომელიც ვერსად ვერ ხარობს. მაგრამ კორევონმა გაუგო მას ბუნების საიდუმლოება, დააჩვია ის იქაურ ჰავას და დიდის სიყვარულით გაზარდა. ჩემბერლენს ხე მოეწონა და გამოსთქვა თავისი სიამოვნება. კორევონი მაშინვე ეკითხება: «რას ჰფიქრობთ საქართველოზე»? ჩემბერლენი სდუმს. ის განაგრძობს: «არ იცნობთ საქართველოს?» ეს ერთად ერთი წმინდა რასის ხალხია დედამიწაზე. არ იცით, რომ ეს მშვენიერი ერი საშინლად იტანჯება ბოლშევიკების უღელს ქვეშ. თუ იცით, არ აღელვებს ეს თქვენს გულს?»—«არა, საქართველოს მე ვიცნობ, კარგი ხალხია და თანავუგრძნობ. მაგრამ...»—«მაგრამ... თქვენც ისე მსჯელობთ, როგორც სხვა ბევრი პოლიტიკოსი: «ახლა არაფერი შეძლებაო!» ეუბნება აღელვებით გაწითლებული კორევონი. ამ სიტყვებზე ჩემბერლენი თავს ძალიან უხერხულად გრძნობს. მაგრამ მაინც იღიმება და ეუბნება: «ჩემო ძვირფასო მეგობარო კარევონო, თქვენ პოლიტიკაც ისე კარგად გცოდნიათ, როგორც ეს მცენარეები! მართლაც მინდოდა მეპასუხნა, რომ ამჟამად მდგომარეობა ისეთი არაა, რომ რისიმე გაკეთების იმედი მივსცეთ საქართველოს. დამერწმუნეთ, ჩემი გული არაა ისე დაჩლუნგებული, რომ ქართველი ხალხის ტანჯვას არ ვგრძნობდე და რომ მე ეს ხე დამავიწყდეს, როცა რისიმე გაკეთება შესაძლებელი იქნებაო».

ერთი სიტყვით, კორევონი არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას მრავალტანჯულ ქართველ ერისათვის თავისი თანაგრძნობა და დახმარება გამოეჩინა იქნებოდა ეს ლექციებში, თხზულებებში თუ შეხვედრების დროს.

საქართველოს წარმომადგენელმა ჟენევაში განსვენებულის ოჯახობას სამძიმრის წერილით მიჰმართა ქართველი ერის სახელით. ის დაესწრო აგრედვე დაკრძალვას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 13 მაისს.

## „კომბატანების“ კონგრესი

23 ივნისს ქ. ანჟენში შეიკრიბა ყოფილ მეომართა მეოცდაორე კონგრესი. საფრანგეთის ფედერაციაში შედის ცალკე სექციათ ქართველ ყოფილ მეომართა კავშირიც და კონგრესზე მისი წარმომადგენელიც იყო მიწვეული. კავშირმა დელეგატათ გაგზავნა ექიმი ან. ყორყოლიანი.

ყოფილ მეომართა ფედერაცია აპოლიტიკური ორგანიზაციაა; იგი მიზნად ისახავს თავის წევრთა ნივთიერ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა წელს ვერც ამ ფედერაციის კონგრესი დარჩა სრულიად გულგრილი პოლიტიკურ საკითხებისადმი. სხვათა შორის იქნა მოსმენილი საკითხი საერთაშორისო მდგომარეობისა და ომის საშიშროების შესახებ. ამ მოხსენებაში საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა მიქცეული ყურადღება და ის აზრი იყო გატარებული, რომ სამხედრო კავშირი საბჭოებთან არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით და სასარგებლო მოვლენად.

მომხსენებელს უპასუხა ფედერაციის თავმჯდომარემ ბ ნმა გრენიემ. მისი აზრით საბჭოთა კავშირი დიდ ფაქტორს წარმოადგენს მიუხედავად მისი დღევანდელი რეჟიმისა: 180 მილიონი მცხოვრები, მრავალრიცხოვანი ჯარი, ტანკები, ავიაცია და სხ. ბ ნ გრენიეს აზრით სამხედრო კავშირი საბჭოებთან აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და იგი დიდი შემატებაც იქნება დემოკრატიულ ქვეყნებისათვის.

ამ საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ბ ნმა ან. ყორყოლიანმაც; მან სიტყვა იმით დაიწყო, რომ იგი არ იზიარებს არც მომხსენებლის გადაჭარბებულ პესიმიზს და არც ბ ნ თავმჯდომარის გაზვიადებულ ოპტიმიზმს. შემდეგ მან აღნიშნა, რომ ის გარემოება, რომ რუსეთში 180 მილიონი მცხოვრებია, ეს მის სისუსტეს უფრო შეადგენს დღევანდელ პირობებში, ვინემ ძალას. რომ ეს 180 მილიონი ყველანი ერთ რუსის ერს წარმოადგენდეს და ხალხის უმრავლესობა იქ არსებული რეჟიმით ოდნავ მაინც იყვეს კმაყოფილი, თქმა არ უნდა, იგი დიდი ძალა იქნებოდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ნახევრად დაჩაგრულ ერებისაგან შესდგება. ეს დაჩაგრული ერები ცდილობენ კისრიდან გადაიძრონ ეროვნული ჩაგვრის უღელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ვერ იქნებიან თავგანწირული დამცველნი საბჭოთა კავშირის. თუ ამას ზედ დავუმატებთ იმ უკმაყოფილებას, რომელიც იქ არსებობს ხელისუფლების მიმართ თვით რუს მოსახლეობაშიც, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რომ დიდი იმედის დამყარება საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებაზე სახიფათო შეცდომა იქნება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქ მუშა მათხოვრულ ხელფას იღებს, გლეხობა ძალით არის შედენილი კოლხოზებში და მისი შრომის ნაყოფიდან მას საცხოვრებელი მინიმუმის ნახევარიც კი არ რჩება, დანარჩენი ხელისუფლებას მიაქვს. მთელს კავშირში უდიდესი სიძულვილია ხელისუფლებისა და კომუნისტურ რეჟიმისადმი. სწორედ დღეს ამ კრების წინ ბანკეტზე პატივცემულმა მინისტრმა ბ-ნმა კამპინკიმ სამართლიანად აღნიშნა, რომ საფრანგეთის სიძლიერე არსებობს მის მატერიალურ და სულიერ საზრდოს სიუხვეში. საბჭოთა კავშირის მატერიალურ საზრდოზე უკვე მოგახსენეთ; რაც შეეხება მის სულიერ საზრდოს, როგორი შეიძლება ის იყოს იქ, სადაც თავისუფალი სიტყვა და აზრი დახშულია?

ლაპარაკობენ, რომ საბჭოთა კავშირი პაციფისტური ქვეყანა არისო. ის დღეს პაციფისტობს მიტომ, რომ მას სხვა გზა ამ ჟამად არა აქვს და მისი პაციფიზმია pacifisme d'occasion. საზოგადოდ კი მას სხვა ვინმეზე ნაკლები აგრესიულობა არ ახასიათებს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ 1920 წელში პოლონეთს დაესხა თავს, 1921 წელს შეესია კავკასიის სახელმწიფოებს, ომის გამოუცხადებლად აუტეხა ომი და დაიპყრო მშვიდობიანი საქართველო. განა შეიძლება ასეთი სახელმწიფოს პაციფისტობა იწამო და მის სიტყვას დაემყარო?!.. ყოველ შემთხვევაში მე არ მწამს, რომ იგი დაპირებას შეასრულებს და თავისთავზე აღებულ ვალდებულებებს განაალდებს.

ახლა მოგახსენებთ ჩემს დასკვნას, რომელმაც შეიძლება ცოტათი კიდეც გაგაკვიროთ იმის შემდეგ, რაც მე მოგახსენეთ. მიუხედავათ ყოველივესი კავშირის დადება საბჭოებთან მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით უარყოფით მოვლენად. სხვას რომ თავი გავანებოთ, იგი მოწინააღმდეგეთა მხარეზე მაინც არ იქნება და ესეც ერთგვარი მოგებაა.

ექ. ყორყოლიანის სიტყვა დიდის ინტერესით მოისმინა კონგრესმა და შთაბეჭდილებაც მოახდინა მასზე.

კამათის დასრულების შემდეგ არჩეულ იქმნა რეზოლიუციის შესადგენად კომისია, რომელშიაც შევიდა ბ ნი ყორყოლიანიც. კომისიის რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთი უმთავრესად უნდა დაეყრდნოს თავის საკუთარ ძალაზე და ყოველივე იღონოს რომ თავის ირგვლივ შემოიკრიბოს ყველა ის ქვეყნები, რომელნიც მზად არიან წინ გადაეღობონ ყოველგვარ აგრესიას, ერთხმად იქნა მიღებული კონგრესის მიერ.

კონგრესი დასრულდა 26 ივნის დიდი ბანკეთით, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ბ ნმა გრენიემ და მადლობა გადაუხადა დამსწრე უცხოელებს და მათ შორის საქართველოს სექციასაც კონგრესის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობის მიღებისათვის.

დამსწრე.

## სასარგებლო მოხსენება

მიმდინარე წლის 4 ივნის «Societé Savan» ის დარბაზში გაიმართა «ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა საზოგადოების» გამგეობის ინიციატივით ბ-ნ კ. კანდელაკის მოხსენება, შემდეგ თემაზე: «პირობები და გზები საქართველოს ეკონომიურ განვითარების—უწინ და ახლა».

მოხსენების საგანი, როგორც თვით სათაური გვეუბნება, მეტად ფართო და სერიოზულია. იგი შეეხება საქართველოს ეკონომიურ განვითარების ისტორიას, არკვევს მის მრავალფეროვან ეტაპებს და იძლევა საქართველოს ეკონომიურ შესაძლებლობათა სრულ სურათს. ასეთი ფართე თემის ერთ მოხსენებაში მოქცევა და ისიც ყველასათვის გასაგებ ენით გადმოცემა—არც ისე ადვილი საქმეა. ყველა ეს სიძნელენი დასძლია მოხსენების მიერ ზედმიწევნით საგნის ცოდნამ და გამოცდილ ლექტორის უნარმა.

მოხსენება ორ მთავარ ნაწილისაგან შესდგებოდა. ერთის მხრით მომხსენებელმა ნათლად გადმოგვცა ის პირობები, რომელნიც არსებობდენ და არსებობენ საქართველოში მისი ეკონომიური განვითარებისათვის და მეორეს მხრით აღნიშნა და ფაქტებით დაასაბუთა ის დამაბრკოლებელი მიზეზები. რომელიც აგერ, თითქმის, ერთნახევარი საუკუნეა წინ ეღობებიან ჩვენი ქვეყნის ნორმალური გზით განვითარებას.

ამასთან დაკავშირებით იგი შეეხო, როგორც თვითმყრობელობის დროს არსებულ ეკონომიურ პოლიტიკას, ისე საბჭოებისასაც.

პირველი დაახასიათა, როგორც კოლონიალური პოლიტიკა კავკასიის, ციმბირის და აზიის ქვეყნების მიმართ. მაგრამ სრულიად განსხვავებული ევროპის დიდი ქვეყნების კოლონიალურ პოლიტიკიდან. რადგან ამათი და რუსეთის კოლონიების ეკონომიური სტრუქტურა ძირითადად განსხვავდებოდა ერთი მეორესაგან. მეტროპოლიები წარმოადგენდენ მრეწველობით მეტად განვითარებულ, ტექნიკურ ცოდნით დაწინაურებულ და ფულით მდიდარ ქვეყნების; მაშინ როცა რუსეთის და შემოერთებულ ქვეყნებს ეკონომიური სტრუქტურა თითქმის ერთი და იგივე იყო; თითონ ღარიბი ტექნიკურ ცოდნით და ფულით რუსეთი არსებითად კოლონია იყო დასავლეთ ევროპის ფინანსიურ კაპიტალის და რუსეთის განაპირა ქვეყნები ამ კოლონიის კოლონიას წარმოადგენდენ.

რაც შეეხება საბჭოთა ეკონომიურ პოლიტიკას —განაგრძობს მომხსენებელი—იმას ახასიათებს უკიდურესი ცენტრალიზმი, როგორც ფინანსიურ, ისე ყოველგვარ ეკონომიურ, თუ სხვა, სფეროში. საბჭოთა ხელისუფლებამ გაუგონარი ენერგია დაახარჯა მრეწველობის შექმნას, მის შემდეგ. რაც იგი თითონ დაანგრია; ხალხის საშინელმა ექსპლოატაციამ საშვალება მისცა მას 180 მილიარდი მანეთი ჩაედო წარმოებაში... ხოლო არც ერთ დარგში ნაყოფი არ შეეფერება ხალხის მიერ გაღებულ მსხვერპლს და საშინელ გაჭივრებას. . აღმშენებლობა უსათუოდ «დიდია»—ირონიულად შენიშნავს მომხსენებელი—როგორც ცენტრალურ რუსეთში, ისე განაპირებში, მაგრამ ეს ისეთი აღმშენებლობაა. რომელსაც ნაყოფი არ მოაქვს...

ტყუილია ზოგიერთ რუს ეკონომისტების ის აზრი, რომ თითქოს «ცენტრი» განაპირა ქვეყნებზე მეტს ხარჯავს, ვინემ თვით რუსეთზე წინაამდეგ. უკანასკნელ დროის ციფრები იმას მოწმობენ.—და საბჭოთა ცნობები ამას სრულებითაც არ მალავენ — რომ საბჭოთა კავშირის მთელი შემოსავლიდან. რომლიდანაც 75 პროც. «ცენტრს» თავის განკარგულებაში მიაქვს, იგი მეტს ახარჯავს მრეწველობის შექმნასზე სწორედ რუსულ რესპუბლიკებში.

ჩვენში ისე. როგორც სხვა განაპირა ქვეყნებში, მეტი ყურადღება ექცევა სწორედ წარმოების იმ დარგებს, რაც რუსეთს ესაჭიროება; გამოდიან უპირველეს ყოვლისა იმის ინტერესებიდან და არა ადგილობრივ ხალხის ინტერესიდან.

ამ ფრიად საინტერესო მოხსენებიდან. რომელიც მდიდარი იყო ფაქტიური მასალით და ციფრებით, მომხსენებელმა ის დასკვნა გააკეთა, რომ ისტორიის განმავლობაში არსად და არასოდეს დამონავებულ ერს და დესპოტიურ პირობებს ხელი არ შეუწყვია ხალხის კეთილდღეობის შექმნისათვის: რომ ევროპის პატარა ერების ისტორია, რომელთა ეკონომიური მდგომარეობა დღესაც სანატრელია ბევრი დიდი ქვეყნებისათვის, იმის მაჩვენებელია. რომ ეროვნული თავისუფლება და საზოგადოდ პოლიტიკური თავისუფლება და არა ოტოკრატია პოლიტიკაში და ავტარკია ეკონომიკაში ჰქმნიდენ და ჰქმნიან ხალხის განვითარების პირობებს ყველა დარგში. მაგალითები ევროპის პატარა ქვეყნების, როგორიცაა ჰოლანდია, ბელგია, დანია, შვეცია და შვეიცარია—ამას მოწმობენ და ჩვენთვისაც ამ ქვეყნების მიერ განვლილი გზა არის წასაბაძი.

მოხსენებას დიდძალი ხალხი დაესწრო და ბ ნი მომხსენებელი საერთო ტაშით დააჯილდოვეს. სასურველია, რომ ეს ფრიად საინტერესო მოხსენება დაიბეჭდოს, რომ ამით ყველას მიეცეს საშვალება გაიცნოს იქ ბლომად დაგროვილი ფაქტიური მასალები ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკურ ვითარების და მისი პერსპექტივების შესახებ.

დამსწრე.

## ბიბლიოგრაფია

გრ. ურატაძე. «საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1801—1921 წ.». პარიზი. 1939.

ავტორი ეხება ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ ნაწილს, რომელიც მდიდარია მეტად მღელვარე და დრამატიული ეპიზოდებით. 1801—1921 წ. ეს ის საუკუნეა ჩვენს ისტორიაში, რომლის შესახებ გრძნობათა ღელვა, აზრთა სხვადასხვაობა დღემდისაც არ ჩამდგარა. არ დაწრეტილა. ამ საუკუნის დასაწყისში სისხლიდან დაცლილი საქართველო სცილდება წინა აზიის სოციალ-პოლიტიკურ ნიადაგს და ვარდება რუსეთის ბატონობის სფეროში. დგება ახალი ხანა —დღემდის უჩვეულო და უცნობი. საზოგადოებაში თანდათან ფეხს იკიდებს ახალი მოთხოვნილებანი; ერის წიაღში იჭრებიან ახალი მოვლენები. დგება ახალი საკითხები. ყველაფერი ეს სრულიად არ გავს გუშინდელს. ირყევა ფეოდალური წყობილების საფუძვლები და მათი ადგილის დაკავებას ცდილობს ახალი ურთიერთობა. ჩაღდება ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. საზოგადოება იყოფა ორ ბანაკად. მთელი მეცხრამეტე საუკუნე, ცოტა გამონაკლისით, ამ ორ ბანაკთა ბრძოლის საუკუნეა. ბრძოლა თავდება ხალხის სცენაზე გამოსვლით. ამ დღიდან «მეფეთა ისტორიას» სცვლის ხალხის, ერის ისტორია.

ავტორი გადმოგვცემს ამ გრანდიოზულ ეპოქის მთავარ შტრიხებს: «ნაროდნიკულ» მოძრაობას და მის მნიშვნელობას საქართველოს სინამდვილეში; «მესამე დასის» წარმოშობის ისტორიას და მის მოღვაწეობას; 1905 წლის რევოლიუციას; «დუმის» პერიოდს, თებერვლის რევოლიუციას; ამიერ-კავკასიის კომისარიატის ხანას და ბოლოს— საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს 1921 წლამდე. როგორც ვხედავთ თემა მეტად დიდი და მრავალფეროვანია, მისი 180 გვერდიან პატარა ტანის წიგნაკში მოთავსება არც ისე ადვილია. მაგრამ ავტორის მუყაითობას და საგნის ცოდნას ეს დაბრკოლება დაუძლევია. რაც მთავარია, აღნიშნულ ხანის იდეურ-პოლიტიკური და სოციალ-კულტურული განვითარება მთელ წიგნში განუხრელად წითელ ზოლივით მოდის და ანათებს მის მთავარ ეტაპებს. წიგნში ბლომადაა გაბნეული და მოხდენილად დალაგებული ყველა ის ისტორიული მასალები. რომლებიც ამა თუ იმ ეპოქის გაშუქებას იძლევიან.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უკანასკნელი თავი: «საქართველოს დამოუკიდებლობა», სადაც ავტორს მოცემული აქვს დამოუკიდებელ საქართველოს საქმიანობა, გატარებული მთავარი რეფორმები; მისი ბრძოლა გარშემორტყმულ მტრების წინაალმდეგ და ამავე დროს შიგნით შეუწყვეტელი აღმშენებლობის წარმოება ყველა დარგში.

წიგნში ბლომად მოიპოვება ისეთი მასალები, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის დღემდის უცნობია. ეს გარემოებაც წიგნის ღირსებას ერთი ორად ზრდის.

ჭეშმარიტად, რომ ასეთი წიგნი დროულია და ჩვენ ურჩევთ ქართველ ემიგრაციას ის წაიკითხოს, ამით ის ბევრს მოიგებს.

წიგნი ლამაზად და სუფთად არის გამოცემული. იკითხება დიდი სიამოვნებით. ღირს 10 ფრ.

ს. მ.

## «LA GEORGIE» პოლონურ ენაზე

ვარშავაში ქართულმა კომიტეტმა გამოსცა პოლონურად ნათარგმნი ქართველ მოღვაწეთა კოლექტიური შრომა «La Géorgie»; ამ წიგნმა, ფრანგულ ენაზე გამოცემულმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ და ლიტერატურულ წრეებში. მას აღფრთოვანებული რეცენზიები უძღვნეს როგორც საფრანგეთში, ისე შვეიცარიაში, უნგრეთში და სხვაგანაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ. რომ მას სიამოვნებით შეხვდება პოლონეთის საზოგადოებაც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნი მშვენიერად არის გამოცემული. შიგ მოთავსებულია ფრანგული გამოცემის ყველა სურათები და გრავიურები. დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც წიგნის პოლონურად მთარგმნელი, ისე ქართული კომიტეტი. რომ ეს წიგნი ხელმისაწვდომი გახადეს პოლონეთის საზოგადოებისათვის. ეს უკანასკნელი, რომლის დიდი სიმპატია საქართველოსადმი და ქართული საქმისადმი საყოველთაოდ არის ცნობილი, ამ წიგნის საშვალებით გაეცნობა მოკლედ, მაგრამ სისწორით გადმოცემულ საქართველოს წარსულს და მის მიერ განვლილ ეკლიან გზას.

## მორიგი ჭორი

(წერილი რედაქციის მიმართ)

ქართული «კავ.»-იის თანამშრომელნი დროდადრო, მორიგეობით, შეთხზავენ ხოლმე უცნაურ ჭორს, მომაწერენ მე და მით გულს მოიფხანენ. ჯერ შეთხზეს ვითომ ლენინმა ოქროს საათი მაჩუქა, მერე გამოიგონეს თითქოს «ძაბრიანი ქუდი» პირველად მე მომეტანოს საქართველოში. მერე დაუმატეს— ურატაძემ აზერბაიჯანლებს მთელი ზაქათალის ოლქი აჩუქაო. ახლა კიდევ ახალი ჭორი—ბოლშევიკების შემოსვლის პირველ დღეებში ვითომც მივსულიყო ფ. მახარაძესთან და «პარტიის სახელით გამეცხადებიოს, რომ პარტია შეთანხმების გზას დაადგა და მზად არის ხელისუფლება ბოლშევიკ-მენშევიკების შორის იყოს განაწილებულიო» და ამისთვის, ვინ იცის თურმე როგორ არ დამტუქსა პარტიამ.

მთელი ეს, უკაცრავად პასუხია, ამბავი თავიდან ბოლომდე «კავ.» იის მიერ გამოგონებულ-მოჭორილია. არაფერი ამის მსგავსი არც ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო თუ გინდ იმიტომ. რომ ამ ჭორის ავტორი თვითონვე აცხადებს იქვე. თავში. რომ «ურატაძე არსად სჩანდა თბილისშიაც, როცა მენშევიკური პარტიის დანარჩენი წევრები ბათუმიდგან თბილისში დაბრუნდენო». თუ არ ვსჩანდი— როგორ შემეძლო გადამეცა მახარაძისათვის ის სი-

სულელე, რომელსაც მე ეს ცრუპენტელა გაზეთი მაწერს! სწორია მხოლოდ ის რომ მე იმ ხანებში მართლაც არ ვყოფილვარ თბილისში, ვიყავი გურიაში და ჩავედი თბილისში ათი აპრილის კრების შემდეგ. ასე რომ დიდი სურვილიც რომ მქონოდა გადამეცა ასეთი რამე მახარაძისათვის—ფიზიკურად არ შემეძლო. თბილისში ჩასვლისათანავე კი დამიჭირეს და მიმიყვანეს მეტეხში არა «ორი დღით», როგორც ჭორიკანა ავტორი სწერს, არამედ ჯერ სხვებთან ერთად რამდენიმე თვე ვიჯექით ჩეკაში, მერე რამდენიმე თვე მეტეხში და შემდეგ კიდევ რამდენიმე თვე ოზურგეთის ციხეში. აქ არიან ბევრი მათგანი ვინც იმ ხანებში ჩემთან ერთად იჯდენ ამ ციხეებში, ამიტომ «კავ.»-იის ჭორაი ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანს.

ასეთივე მოჭორილია ისიც, თითქოს რაღაც დელეგაციას ს. ჯიბლაძის მეთაურობით გადაეცეს იმავე მახარაძისათვის მის მიერ მოყვანილი რეზოლიუცია ათ აპრილამდე. ცნობილია რომ ეს რეზოლიუცია მიიღო პარტიულმა კრებამ მხოლოდ ათ აპრილს, ასე რომ ამ კრებამდე ამ რეზოლიუციის გადაცემა მახარაძესათვის არავის არ შეეძლო, რადგან ამ დღემდე ის არც კი არსებობდა. არას დროს ამ რეზოლიუციის ნიადაგზე პარტიას არც ს. ჯიბლაძის და არც სხვა ვინმეს მეთაურობით არავითარი მოლაპარაკება არ უწარმოებია არც მახარაძესთან და არც სხვა ვინმესთან. არც იყო საჭირო რამე მოლაპარაკება, რადგან ეს იყო პარტიის დეკლარაცია და ასეთი დეკლარაცია კი არავითარ მოლაპარაკებას არ გულისხმობს.

სწორედ ასეთ ცრუპენტელა ხალხზეა ნათქვამი ვრი, ნო ზნაი მერუ...

გრ. ურატაძე.

## 26 მაისი პარიზში

როგორც ყოველთვის, პარიზის ქართულმა კოლონიამ, წელსაც იდღესასწაულა 26 მაისი.

დღესასწაული გახსნა მოკლე შესავალი სიტყვით ქართულ კოლონიის თავმჯდომარემ ბ ნმა ვ. ღამბაშიძემ. ამის შემდეგ მისალმების სიტყვები წარმოსთქვეს სომხეთის, აზერბაიჯანის, მთის, უკრაინის და ყაზახობის წარმომადგენლებმა.

მეორე განყოფილებაში ქართულმა ხორომ უკრაინელ კომპოზიტორის ბ. პონომარენკოს ხელმძღვანელობით მშვენივრად შეასრულა ქართული ჰიმნი და რამდენიმე ქართული სახალხო სიმღერა. მშვენიერად დაუკრა არია «აბესალომ და ეთერი»-დან პატარა ეთერი რუხაძემ.

სალამოს დაესწრენ მთავრობის ყველა წევრები ნ. ჟორდანიას მეთაურობით, თითქმის მთელი ქართული კოლონია და უცხოელი სტუმრები.

სტუმრების გამასპინძლება და ქართულ-ევროპიული ცეკვა-თამაში გაგრძელდა ნაშუაღამევის პირველ საათამდი. სადღესასწაულო სალამო მხიარულად ჩატარდა და დამსწრე საზოგადოებაც ნასიამოვნები დაიშალა.

## ტუბერკულოზით ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტის სალამო

18 ივნისს, ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტმა გამართა პარიზში სალამო. სალამო დაიწყო მუსიკალური განყოფილებით, რომელსაც წინ უძღოდა ბ ნ იოს. გოგოლაშვილის მოხდენილად შედგენილი მოკლე ისტორიული მიმოხილვა ქართული ხალხური სიმღერების და საზოგადოთ ქართული მუსიკალური ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების შესახებ. შემდეგ გრამაფონზე მოსმენილი იქმნა საქართველოში სხვადასხვა გუნდების მიერ შესრულებული და ფირფიტებზე გადაღებული ხალხური სიმღერები. საზოგადოებას განსაკუთრებით მოეწონა მეგრული «ჩელა», იმერული «მხედრული», კახური «მრავალჟამიერ», ქართლური «ზამთარიო», გურული «ნანა» და სხვა. ზოგიერთი ფირფიტები დამსწრე საზოგადოების მოთხოვნილებით რამდენჯერმე იქმნა გამეორებული.

ფირფიტების მოსმენის შემდეგ კომპოზიტორმა პონამარენკომ პიანოზე ჩინებულად შეასრულა ზ. ფალიაშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული «ალი ფაშა».

მეორე განყოფილებაში ინჟინრების ვ. გაბელაშვილისა და შ. სკამკოჩაიშვილის ხელმძღვანელობით ნაჩვენები იქმნა 1918 წლის 26 მაისის ფილმი ეკრანზე, როგორც განსაკუთრებით ნ. ჟორდანიასი, ისე სხვა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა და სამხედრო პირთა გამოჩენას საზოგადოება ხვდებოდა ერთსულოვანი ტაშით და «ვაშას» ძახილით.

დასასრულ გაიმართა ცეკვა-თამაში.

სალამოს საზოგადოება მრავლად დაესწრო და დიდათ ნასიამოვნებიც დარჩა.

## ქართული ოპერები მოსკოვის თეატრებში

როგორც კომუნისტური გაზეთები გვატყობინებენ, რომ მოსკოვის დიდ თეატრს დაუდგამს კომპ. ზაქ. ფალიაშვილის ოპერა «აბესალომ და ეთერი». ოპერას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მოსკოვის მუსიკალურ წრეებზე.

— —

ნემიროვიჩ დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრს მიუღია დასადგმად კომპ. ფალიაშვილის მეორე ოპერაც—«დაისი».

## ქართული მწერლები რუსულ ენაზე

გამომცემლობა «სოვეტსკი პისატელი» სცემს კრებულს, რომელშიაც შედის ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ნაწარმოებნი. თარგმანი რუსულ ენაზე შეუსრულებიათ ტიხონოვს, პასტერნაკს, დერჟავინს, ანტოკოლსკის და სხვებს.

## ანგარიში

ტუბერკ. დამ. კომიტ. მიერ გამართულ საღამოსი

შემოსავალი:

ბილეთების გაყიდვიდან—1.230 ფრ., ლოტერიიდან—245.50, ბუფეტისაგან—1926 95. შემოწირულებანი: ქ-ნთ სოფიო კედიასაგან (ქართული კერას სახელით)—200 ფრ.. მარ. ელიგულაშვილისგან 50 ფრ.. ელენე დემულონისაგან 50 ფრ., მ. მამულაიშვილისაგან 50 ფრ., ბ-ნ. პოლკ. კ. მდივნისაგან 50 ფრ. და ვ. ახვლედიანისაგან 50 ფრ. სულ 3.852 ფრ. და 45 სან.

გასავალი:

დაიხარჯა საღამოს მოწყობაში სულ ათას ცხრაას ოთხმოცდა ოთხი ფრ. და 90 სან. (1984 ფრ. 90 ს.).

ამრიგად წმინდა შემოსავალი დარჩა ათას რვაას სამოცდა შვიდი ფრ. და 55 ს. (1867 ფრანკი 55 სან.).

კომიტეტი ულრმეს მადლობას უძღვნის უხვი შემოწირულებისათვის: ქ-ნთ ს. კედიას, ელ. დემულონს, მარ. ელიგულაშვილს და მ. მამულაიშვილს, ბ ნთ კ. მდივანს და ვ. ახვლედიანს.

აგრეთვე ულრმესი მადლობა ნივთებისა და სანოვაგის შემოწირვისათვის: ქალბატონთ: ს. იაკობაშვილისას, დ. ელიგულაშვილისას, მ. ელიგულაშვილისას, მ. სტურუას, ტ. ლაბაძეს, ნ. გვაზავას, მარი კოსტს, მ. ციციშვილს, ე. ფერაძეს, მ. ჩხენკელს, ქ ნ ჩაჩავას, მ. ბებურიშვილს, თ. ჯაყელს, მ. რამიშვილს, ს. ასათიანს, და ბ ნთ: მ. ჩახვაძეს, ნ. ჯაყელს, ლ. პატარიძეს, თ. მუხაშარიას, ლ. შავიშვილს, გ. მოდებაძეს, ბ-ნ სულაბერიძეს; აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნის საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობისათვის თუ სხვა.რაიმე დახმარებისათვის: ქ-ნთ ეთერი ფალავას, ეთერი რუხაძეს, ქ-ნ დიბაძისას, დ. ელიგულაშვილს, თ. და ნ. წულაძეებს, ნ. რამიშვილს, ნათ. ჟორდანიას, ც. ბერიძეს, მ. გეგეჭკორს, ქ. ბარნოვს, მ. ურატაძეს, ე. ციციშვილს, აგრეთვე ბ ნთ ვლ. მგელაძეს, გ. ყიფიანს, გ. პონომარენკოს, ე. პატარიძეს, დ. ასათიანს, ა. კობახიძეს. ა. ზურაბიშვილს, ა. კვიტაიშვილს, რ. ჟორდანიას, და გ. გოგოლაშვილს, და საერთოდ ყველას ვინც პირადად შრომით თუ საღამოზე დასწრებით ხელი შეუწყო საღამოს.

---

ბ-ნ ს. მენაღარიშვილმა ტუბერკულიოზით დაავადმყოფებულთა დამხმარე კომიტეტს შემოსწირა ასი ფრანკი ნაცვლად საქართველოში ახლად გარდაცვლილ მისი მამის პანაშვიდის გამართვისა.

კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ბ ნ ს. მენაღარიშვილს და ულრმეს მადლობას უძღვნის შემოწირულობისათვის.

ოფისში სოსო გოგოლაშვილთან იყიდება

ს. ფირცხალავას ისტორიული ესკისები

**თ ა მ ა რ მ ე ფ ე**

1. ტახტზე ასვლა. 2. თამარი და რუსი. 3. მიჯნურები. 4. დარბაზობა. 5. ომი. 6. გარდაცვალება.

## პანაშვიდები

კვირას, 11 ივნის პერლაშეზის სასაფლაოზე გადახდილ იქმნა საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის კარლო ჩხეიძის სამოქალაქო პანაშვიდი. ყვავილებით მორთულ საფლავის ირგვლივ შემოიკრიბენ მისი მეგობრები და პატივისმცემლები. სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს ყოფილმა ელჩმა აკ. ჩხენკელმა და ინჟ. შ. სკამკოჩაიშვილმა.

---

25 ივნისს, სენტუანის სასაფლაოზე ქართველთა კოლონიის გამგეობამ სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

## აქსენტი კვირკველია

სოშოდან გვატყობინებენ. მეტად სამწუხარო ამბავს: იქ გარდაცვლილა განსაკუთრებული რაზმის უფროსი თანამშრომელი აქსენტი კვერკველია. განსვენებული იშვიათი ადამიანი იყო და დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, როგორც უფროსების, ისე მისი თანამშრომლების და ხელქვეითების თვალში; კერძო ცხოვრებაში ჩუმი და უწყინარი აქსენტი თავის მოვალეობის ასრულებაში იჩენდა განსაცვიფრებელ სიმტკიცეს და ერთგულებას. მას უყვარდა თავისი სამშობლო ქვეყანა და ყოველთვის მზად იყო თავი შეეწირა მისთვის. დავალებათა ასრულების დროს იგი არაერთხელ მდგარა სიკვდილის საშიშროების წინაშე, მაგრამ არასოდეს დაუხევია უკან. მთელ რაზმში თითზე ჩამოსათვალი იყო აქსენტისთანა შეუდრეკელი და პატიოსანი მუშაკი.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო მეგობარო. აქსენტი! განისვენე მშვიდათ შენი მეორე სამშობლოს მიწაზე და იმედად ის იქონიე, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც შენი საყვარელი საქართველო—წელში გამართული და თავისუფალი—ჩაგიკრავს გულში გადახვეწილობაში დადუპულ მის ერთგულ შვილს.

მ. კედია

შ. ქარცივაძე

ნ. ჯაყელი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით, ჩემი ულრმესი მადლობა მოვახსენო ყველა მათ, ვინც პატივი დამდვეს და ნუგეში გამომიცხადეს, პირადად თუ წერილის საშვალებით, ჩემი საყვარელი მამის, კირილე მაქსიმელის ძე ჯორბენაძის გარდაცვალების გამო.

ღრმა პატივისცემით დ. ჯორბენაძე.

ფრანკფურტი.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : J. DUCROS